

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი



მარიამ ბარამიძის
სამაგისტრო ნაშრომი

თემაზე:

**ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა და მისი თანმდევი შედეგები
კოვიდ პანდემიის ფონზე**

ნაშრომი წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გიორგი რუსიაშვილი

თბილისი

2021

სარჩევი

შესავალი.....	4
I. ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსი, კოვიდ-19-ით გამოწვეული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებისგან გათავისუფლების შესაძლებლობა.....	6
1. ვალდებულების არსი.....	6
2. ვალდებულების დარღვევა, ზოგადი მიმოხილვა	7
II. კოვიდ-19 ით გამოწვეული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, როგორც კონტრაქტის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების წინაპირობა. 9	9
1. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის მნიშვნელობა.....	9
2. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა საზღვარგარეთის ქვეყნებში	11
2.1. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანიაში.....	11
2.2. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა საერთო სამართლის სისტემაში.....	12
3. ვალდებულების შესრულების ეკონომიკური შეუძლებლობა, პრაქტიკულად გაუმართლებელი შესრულება (Impracticability)	16
4. ვალდებულების შესრულების სამართლებრივი შეუძლებლობა და მისი მიმართება კოვიდ-19-თან	18
5. ვალდებულების შესრულების დროებითი და ნაწილობრივი შეუძლებლობა	21
6. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის სხვა სახეები.....	22
III. ფორს-მაჟორი, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების წინაპირობა და ხელშეკრულების მისადაგება, როგორც კოვიდ-19-ით გამოწვეული არსებითი ცვლილების საუკეთესო გამოსავალი.....	23
1. ფორსმაჟორი, ზოგადი მიმოხილვა	23
2. კოვიდ-19, როგორც ფორსმაჟორული გარემოება.....	24
2.1.1 ფორს-მაჟორის დებულების ხელშეკრულებაში არსებობა, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების წინაპირობა კოვიდ-19 -ის მოქმედების დროს	28
2.1.2 კოვიდ 19-ით გამოწვეული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ან/და გართულების დადასტურება და მისი მნიშვნელობა.....	29
2.1.3 Covid-19-ის წინასწარ განჭვრეტადობა, როგორც პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ფაქტორი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისას.	33
3. ვალდებულების შესრულების გართულება და მისი მიმართება კოვიდ-19-თან	36
4. ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილ გარემოებებთან	40
4.1. შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგების მნიშვნელობა.....	40
4.2. ახალ პირობებზე შეთანხმება.....	42

IV. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ცალკეული ნორმების თავისებურებები კოვიდ -19-ით გამოწვეულ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობასა და უფლების განხორციელებასთან მიმართებით..... 44

- 1. სოლიდარული ვალდებულების არსი და მისი თავისებურება შესრულების შეუძლებლობისას..... 44
- 2. დაუყოვნებლივ შესრულების მოთხოვნის შესაძლებლობა და მისი რისკები..... 45
- 3. მოვალისადმი მოთხოვნის განხორციელების შეუძლებლობა, სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის შეჩერება და მისი მიმართება კოვიდ-19 თან 47

V. ცალკეული სახელშეკრულებო ურთიერთობების თავისებურებანი და მათი მიმართება კოვიდ 19-ით გამოწვეულ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობასა და გართულებასთან..... 49

- 1. იჯარის ხელშეკრულება 49
 - 1.1 გადასახდელი თანხის შემცირება/გადავადება, როგორც საიჯარო ურთიერთობის მოწესრიგების ფორმა..... 50
 - 1.2 იჯარის ურთიერთობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ღონისძიებები და მათი მიმართება კოვიდ-19-ით გამოწვეულ ვალდებულების შესრულების გართულებასთან..... 53
 - 1.3. იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა, როგორც კოვიდ-19-ით გამოწვეული შესრულების გართულების უკიდურესი ზომა..... 53
 - 1.4. ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკა..... 54
- 2. სესხის ხელშეკრულება 56
 - 2.1 ევროპული საკანონმდებლო მოწერისგება სასესხო/საკრედიტო ურთიერთობებთან მიმართებით..... 59
 - 2.2 გამოსახლების წინააღმდეგ მიმართული ზომები, როგორც ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის თანმდევი შედეგების დამცავი ნორმატიული მექანიზმი 60
- 3. ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება 61

დასკვნა..... 64

ბიბლიოგრაფია:..... 67

შესავალი

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის 11 მარტს ოფიციალურად გამოაცხადა ახალი კორონავირუსი (COVID-19) პანდემიად.¹ COVID-19-ის აფეთქება მოხდა 2019 წლის დეკემბერში ჩინეთის ჰუბეის პროვინციაში მდებარე ქალაქ ვუჰანში. ვირუსმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაიწყო ძალიან სწრაფი გავრცელება და დღეის მდგომარეობით მსოფლიოში კოვიდ-19-ით ასობით მილიონი ადამიანია დაინფიცირებული.²

კორონა ვირუსის პანდემიის საფუძველზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაწესდა არაერთი შეზღუდვა, რაც ბუნებრივია, რომ უარყოფითად აისახა მსოფლიო ეკონომიკურ მდგომარეობაზე. განსაკუთრებით დაზარალებულნი სპეციფიკური ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, რომლებსაც აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებული ღონისძიებების შედეგად შეეზღუდათ/აეკრძალათ საქმიანობა, შესაბამისად, მათი უმრავლესობა ვერ იღებდა შემოსავალს რაც იწვევდა იმას, რომ ისინი ამ მიზეზით ვერ ასრულებდნენ მესამე პირების წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს. საპირისპიროდ, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობდნენ ისეთი პირებიც, რომლებსაც საერთოდ არ აეკრძალათ, თუმცა მკაცრად შეეზღუდათ საქმიანობა, რასაც, ბუნებრივია, რომ მათი შემოსავლების მკვეთრი შემცირება მოყვა. აქვე, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ შეზღუდვების მიუხედავად, ზოგიერთი პირი სრულყოფილად აგრძელებდა საქმიანობას, მათ შორის, სააფთიაქო ქსელები, სასურსათო მაღაზიები და სხვ.

კოვიდ-19-მა ყველაზე დიდი პრობლემა სახელშეკრულებო ურთიერთობებს შეუქმნა. შეზღუდვების ფონზე განსაკუთრებით გართულდა ისეთი სპეციფიკური ხელშეკრულებების შესრულება, როგორცაა იჯარა, სესხი, ტურისტული მომსახურება და სხვა, რომლებზეც ნაშრომის ფარგლებში იქნება ყურადღება გამახვილებული.

აღნიშნული საკითხის აქტუალობა ვლინდება იმაში, რომ კოვიდ-19-ით გამოწვეული მოვლენები დროში ძალიან სწრაფად განვითარდა. სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეები აღმოჩნდნენ ჩიხში, რადგან არ არსებობდა ერთიანი

¹ COVID-19 – Impacts and possible remedies for government contractors: News our clients can use, ხელმისაწვდომია: <https://www.reedsmith.com/en/perspectives/2020/03/covid19-impacts-and-possible-remedies-for-government-contractors>) საბოლოო ვიზიტ: [12.06.2021]

² *Richard Baldwin Beatrice., Weder di Mauro., Economics in the Time of COVID-19* a Cepr Press VoxEU.org eBook

რეცეპტი, რომელიც მიმდინარე მოვლენების ფონზე მათ ურთიერთობებს დაარეგულირებდა.

ნაშრომი დაეთმო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობასთან მიმართებით. ასევე ნაშრომის ფარგლებში გამოკვლეული იქნება საერთაშორისო გამოცდილება და ის მნიშვნელოვანი ზომები, რომლებიც არაერთმა ქვეყანამ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის საპასუხოდ მიიღო.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, 5 ნაწილისა და დასკვნისგან. სამაგისტროს ნაშრომის შესავალი ნაწილი ეთმობა საკითხის აქტუალობასა და ნაშრომის კვლევის საგანს.

ნაშრომის პირველი ნაწილი დაეთმო ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის განხილვას, ასევე ზოგადად მიმოხილული იქნება შესრულების შეუძლებლობის დოქტრინის არსი და მისი კოვიდ-19-ის კონტექსტში გამოყენების შესაძლებლობა.

ნაშრომის მეორე ნაწილში განხილული იქნება ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ცალკეული სახეები, ასევე, კონტინენტური და საერთო სამართლის სისტემების მიდგომა ვალდებულების შესრულების შეუძლებლობასთან მიმართებით.

ნაშრომის მესამე ნაწილი დაეთმო ფორს-მაჟორის, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლის ანალიზს. გარდა ამისა, მოცემულ ნაწილში განხილული იქნება კოვიდ-19-ის შედეგად დამდგარი შეცვლილი გარემოებების გათვალისწინებით ხელშეკრულების მისადაგების შესაძლებლობა.

ნაშრომის მეოთხე ნაწილში ყურადღება დაეთმო სამოქალაქო კოდექსში არსებული სპეციალური ნორმების ანალიზს და მათ მიმართებას კოვიდ-19-ით გამოწვეულ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობასა და გართულებასთან.

ნაშრომის მეხუთე ნაწილი მოიცავს ცალკეული სახელშეკრულებო ურთიერთობების, კერძოდ იჯარის, სესხისა და ტურისტული მომსახურების ანალიზს. ამ კუთხით გამოკვლეული იქნება არაერთი ქვეყნის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები და განხილული იქნება საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა.

სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი ნაწილი დაეთმო ნაშრომის ფარგლებში განხილული ძირითადი საკითხების გამოკვეთასა და შეჯამებას.

I. ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსი, კოვიდ-19-ით გამოწვეული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებისგან გათავისუფლების შესაძლებლობა

1. ვალდებულების არსი

ვალდებულებითი სამართალი კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებულ რელატიური ხასიათის ურთიერთობას აწესრიგებს³ შესაბამისად ამ შემთხვევაში საქმე ეხება “პირად” უფლებებს, რომლებსაც პირი სხვადასხვა საფუძვლით იძენს.⁴ აღსანიშნავია, რომ ვალდებულება შინაარსობრივად მოიცავს ორ მთავარ ელემენტს, ერთი პირის უფლებას მოითხოვოს შესრულება და მეორე პირის მოვალეობას, რომ შეასრულოს ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნილი.⁵ ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთ გავრცელებულ საფუძველს ხელშეკრულება წარმოადგენს, თუმცა ვალდებულების ცნებაში მოიაზრება სხვა არასახელშეკრულებო ურთიერთობებიც.⁶

კერძო სამართალს მთავარ ფუძემდებლურ პრინციპს მხარეთა თანასწორობა და ნების ავტონომია წარმოადგენს, რაც გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ნების გამოვლენას, ხელშეკრულების შინაარსისა და მისი ფორმის განსაზღვრის უფლებას.⁷ თითოეულ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობას სწორედ ეს ორი პრინციპი იძევს საფუძვლად.⁸

ხელშეკრულების თავისუფლება შეესაბამება ევროპული ვალდებულებითი სამართლის უნიფიკაცია-ჰარმონიზაციის პროცესს, რომელიც მხარეებს აძლევს

³ ვაშკვიძე გ., შესავალი ვალდებულებით სამართალში სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, გვ. 8, ველი 17.

⁴ თოდუა მ./ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2006; გვ. 8.

⁵ ძლიერიშვილი ზ./ცერცვაძე გ./რობაქიძე ი./სვანაძე გ./ ცერცვაძე ლ./ ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014, გვ. 34 იხ. ციტირება: ჭანტურია ლ./ ზოიძე ბ./ ნინიძე თ./ შენგელია რ./ ცეხურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა სამართალი, თბილისი, 2001; მუხლი 316, გვ. 23.

⁶ ჯუღელი თ., არასახელშეკრულებო ვალდებულებები, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი #6/2017, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2017, გვ. 177.

⁷ ჩანტლაძე რ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი N4 (60) '18, თბილისი, 2018, გვ. 38.

⁸ ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები კერძო სამართალში, თბილისი, 2016 გვ. 44.

ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობას.⁹ ხელშეკრულების მხარეები ნების ავტონომიის რეალიზების ფარგლებში გარკვეული ვალდებულებებით იბოჭავენ თავს. აუცილებელია, რომ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში თითოეული მხარე მოქმედებდეს კეთილსინდისიერად და გულისხმიერად. გულისხმიერების ვალდებულება გარკვეულწილად მორალურს სტანდარტს უკავშირდება.¹⁰

მხარეებმა ყველნაირი ზომა უნდა მიიღონ ვალდებულების დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც ვალდებულების დარღვევა ხდება მხარისგან დამოუკიდებელი მიზეზით, ისე რომ მიუხედავად სათანადო მცდელობისა, იგი ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას რაც საბოლოო ჯამში, მისი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველია.

2. ვალდებულების დარღვევა, ზოგადი მიმოხილვა

ხელშეკრულება ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია.¹¹ სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას”.¹² ყველა სამართლებრივ სისტემაში ვალდებულების შესრულება წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. ისევე, როგორც კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებში, საქართველოს შემთხვევაშიც ვალდებულების შესრულების მომწესრიგებელ ნორმებს ძირითადად დისპოზიციური ხასიათი აქვთ. ქართული სამოქალაქო კოდექსი შესრულებაზე ორიენტირებული აქტია. მისი როგორც ზოგადი, ისე კერძო ნაწილი შესრულების მექანიზმებზეა აგებული. მთავარია შესრულება და არა პასუხისმგებლობა, ამასთან, ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია კონკრეტული სახის ვალდებულების შინაარსზე.¹³ შესრულება ხორციელდება ვალდებულების მხარეების ნებელობითი მოქმედების შედეგად: მოვალე

⁹ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, კერძო სამართლის ინსტიტუტი, „საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი“, თბილისი, 2005, გვ. 282.

¹⁰ Martijn W. Hesselink., The Concept of Good Faith published in Towards a European civil code. - 4th rev. and exp. ed. 2004 p. 621.

¹¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-91-2021.

¹² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

¹³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-344-2019.

სთავაზობს შესრულებას, კრედიტორი ღებულობს მას, შესაბამისად დარღვევა გამორიცხავს შესრულებას და პირიქით, იქ, სადაც ვალდებულება ჯეროვნად და კეთილსინდისურად არის შესრულებული, დარღვევის ადგილი აღარ რჩევა.¹⁴

ხელშეკრულების დარღვევა შეიძლება იყოს მცირე ან მნიშვნელოვანი. დარღვევა, სავარაუდოდ, არსებითია, თუ იგი სერიოზულად არღვევს ხელშეკრულებას, შესაბამისად ადგილი აქვს მთლიანი ხელშეკრულების საერთო მიზნის რღვევას, მცირე დარღვევის დროს კი მხარე ვერ ასრულებს ხელშეკრულების მხოლოდ გარკვეულ ნაწილს, შესაბამისად ამ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს მძიმე ხასიათის დარღვევა.¹⁵

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს მართლწინააღმდეგობის ელემენტი. მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით სახელშეკრულებო ურთიერთობებში მოვალის მიერ კრედიტორის შეფარდებით (რელატიურ) უფლებების რღვევას აქვს ადგილი, განსხვავებით არასახელშეკრულებო (დელიქტურ) ურთიერთობესიგან, სადაც ზიანის მიმყენებლის მოქმედება არღვევს აბსოლუტური უფლებებს.¹⁶ ვალდებულების დარღვევა შესაძლოა გამოხატული იქნეს, როგორც ვადის დარღვევით ისე სხვა არაჯეროვანი შესრულებით.

ვალდებულების დარღვევისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს ასევე წარმოადგენს ბრალი. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა შესაძლებელია გამოწვეული იყოს მხარის ბრალით ან არაბრალეულად¹⁷, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამოქალაქო კოდექსი ეფუძნება ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს, რაც გულისხმობს იმას, რომ სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისას დგება მაშინ როდესაც პირი მოქმედებს განზრახვით ან უხეში

¹⁴ ძლიერიშვილი ზ./ცერცვაძე გ./რობაქიძე ი./სვანაძე გ./ ცერცვაძე ლ./ ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014, გვ.64.

¹⁵ Covid 19 resources for nonprofits, contracts issues during Covid-19 ხელმისაწვდომია:<https://www.nylpi.org/wp-content/uploads/2020/06/Contracts-Issues-During-COVID-19.pdf> საბოლოო ვიზიტი: [16.05.2021].

¹⁶ ჭანტურია ლ./ ზოიძე ბ./ ნინიძე თ./ შენგელია რ./ ცეხურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა სამართალი, თბილისი, 2001, მუხლი 394, გვ. 364.

¹⁷ ი. კროჰოლერი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 275-ე პარაგრაფი, ველი 7, მე-13 გადაშუშავებული გამოცემა, თბილისი, 2014.

გაუფრთხილებლობით, ზემოაღნიშნული პრინციპი უდევს საფუძვლად, როგორც სახელშეკრულებო ისე დელიქტურ სამართალს.¹⁸

მიუხედავად მართლწინააღმდეგობის და ბრალის არსებობისა, შესაძლებელია, რომ ხელშეკრულების მონაწილეს არ დაეკისროს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისთვის იმ შემთხვევაში თუ სახეზე არ არის მიზეზობრივი კავშირი. მიზეზობრივი კავშირის არსებობა დგინდება ეკვივალენტურობის პრინციპზე დაყრდნობით, ეს უკანასკნელი კი ნიშნავს იმას, რომ ქმედება უნდა იყოს შედეგის ეკვივალენტური.¹⁹

მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე დაირღვა არაერთი სახელშეკრულებო ვალდებულება. უმეტეს შემთხვევაში ვალდებულებები ირღვეოდა ხელშეკრულების მონაწილე მხარეებისგან დამოუკიდებლად, რადგან არსებითად იცვლებოდა ფაქტობრივი ვითარება, ასევე ხდებოდა ხელშეკრულების მიზნის მოშლა, შესაბამისად ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ აზრი ეკარგებოდა ხელშეკრულების შენარჩუნებას, რაც საბოლოო ჯამში, სახელშეკრულებო ვალდებულებისგან გათავისუფლებას იწვევდა.

II. კოვიდ-19 ით გამოწვეული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, როგორც კონტრაქტის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების წინაპირობა

1. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის მნიშვნელობა

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსი აღიარებს და ეფუძნება „pacta sunt servanda-ს“ (ხელშეკრულება უნდა შესრულდეს) პრინციპს, რომლის თანახმად, ხელშეკრულების მხარემ, რომელმაც იკისრა ვალდებულება, უნდა შეასრულოს ხელშეკრულებით მისივე ნებით შეთანხმებული უფლება-მოვალეობები²⁰ თუმცა პრობლემას ვაწყდებით მაშინ როდესაც მხარე, მართალია, გამოხატავს შესრულების ნებას, მაგრამ გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად ვერ ახდენს ვალდებულების ჯეროვან შესრულებას, რაშიც ბუნებრივია, რომ მას ბრალი არ მიუძღვის.

¹⁸ ვაშაკიძე გ., შესავალი ვალდებულებით სამართალში, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, ველი 14.

¹⁹ ბათლიძე გ., ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, ველი 9.

²⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 10 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1265-1187-2015.

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის პრობლემა იურისტებისთვის ცნობილია ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, რაც სახელშეკრულებო სამართალი გარკვეულ საზღვრებში მოექცა და რომაელებმა შეიმუშავეს გარკვეული პრინციპი ამ შემთხვევების გადაწყვეტისთვის – *impossibilium nulla obligatio est*.²¹ შესაბამისად, ლოგიკურია, რომ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას რომის სამართლის არაერთ წყაროში ვხვდებით განსაკუთრებით კი დიგესტებსა და ინსტიტუციებში.²²

Rebus sic santibus პრინციპი უკვე აღიარებულ იქნა ძველი რომაული სამართლის მიერ. ²³ რომის იმპერატორის იუსტინიანეს კოდექსის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილე არ არის პასუხისმგებელი შეუსრულებელი ვალდებულებისთვის. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის გამომხატველს სიტყვად ზოგჯერ მოხსენიებულია "ხელშეკრულების საფუძვლის მოშლა", "შეუძლებლობა", "ფორსმაჟორი", "გარეგანი მიზეზი" ან „შემთხვევითობა“ საბოლოო ჯამში, ზემოხსენებული თითოეული ტერმინის საერთო აზრი უკავშირდება ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას.²⁴

შესრულების შეუძლებლობის დოქტრინის თანახმად ვალდებულები პირი მხოლოდ იმ შემთხვევაში თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან თუ იგი დაამტკიცებს, რომ ადგილი ჰქონდა მოულოდნელ, გაუთვალისწინებელ და ზებუნებრივ მოვლენას, რომელმაც საბოლოო ჯამში, გამოიწვია

²¹ *სირდაძე ლ.*, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 8 თებერვლის განჩინება №28/4450-10, გადაწყვეტილების ანალიზი, ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 1/2019, 57.

²² *ზოიძე თ.*, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტი თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2019, გვ. 145.

²³ *ndubuisi augustine nwafor.*, Comparative and Critical Analysis of the Doctrine of Exemption/Frustration/Force Majeure under the United Nations Convention on the Contract for International Sale of Goods, English Law and UNIDROIT Principles Scotland MARCH 2015 p.4 იხ. ციტირება::James Gordley ‘Impossibility and Changed and Unforeseen Circumstances’ 52 American Journal of Comparative Law (Summer 2004) 513-530.

²⁴ European Contract Law Materials for Common Frame of Reference: Terminology, Guiding Principles, Model Rules Produced by Association Henri Capitant des Amis de la Culture Juridique Française and Société de Législation Comparée, page, 227.

სახელშეკრულებო ურთიერთობისთვის აუცილებელი ერთ ან რამდენიმე პირობის შეცვლა.²⁵

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ფორს-მაჟორს საერთოდ არ აქვს ნორმატიული საფუძველი, იგი ძირითადად ახასიათებს რომანისტულ ქვეყნებს, ხოლო საქართველოში, რომელიც გერმანული სამართლის რეცეფციის შედეგს წარმოადგენს უნდა გამოვიყენოთ „შესრულების შეუძლებლობის კატეგორია“, რომლისთვისაც არანაირი მნიშვნელობა არ აქვს შედეგი მოვალის ბრალით დადგა თუ მისი ბრალის გარეშე.²⁶ საქართველოში შესრულების შეუძლებლობის ნორმატიულ საფუძველად შეიძლება მოვიაზროთ სსკ-ს 401 მუხლი, რომლის თანახმად ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული.²⁷

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, აღსანიშნავია, ქართულ რეალობაში კონტრაქტები, როგორც წესი, ხელშეკრულების ცალკეული მუხლით აწესრიგებენ ფორს-მაჟორს, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების უპირობო საფუძველს. ხელშეკრულებით განსაზღვრული ფორს-მაჟორის ნორმა მოიცავს ბუნებრივ კატასტროფებს, ომს, აჯანყებას და თითქმის ყველა იმ მოვლენას, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილის კონტროლს მიღმა დგას.

2. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა საზღვარგარეთის ქვეყნებში

2.1. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანიაში

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (გსკ) 275-ე პარაგრაფში მოწესრიგებული შესრულების შეუძლებლობა არის ისეთი მოვლენის დაგდომა, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეუძლებელს ხდის ვალდებულების შესრულებას ან მთლიანად გამორიცხავს მას.²⁸

²⁵ *Matt Peters., Janet Kwuon., Force Majeure One year later May 2021, 02 Reed Smith LLP, p.11, ობ. ციტირება: Skilton v. Perry Local School Dist. Bd. Of Educ., 2001-L-140, 2002 WL 31744700, at *26 (Ohio App. Dec. 6, 2002).*

²⁶ *სირდაძე ლ.*, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილების ანალიზი, №28/445010, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 1/2019.

²⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 401.

²⁸ Bürgerliches Gesetzbuch (BGB), § 275.

გერმანულ მართლწესრიგში შეუძლებლობა ვალდებულების ერთ-ერთი რიგითი დარღვევაა, ისეთივე, როგორცაა, მაგალითად მხარის მიერ ნაკლოვანი შესრულება ან რომელიმე სხვა, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში ქარწყლდება მხარის მიერ შესასრულებელი ვალდებულება. რომაული სამართლის ფესვებთან უფრო ახლოს მდგარი - რომანისტული ქვეყნების სისტემის მიერ, მათ შორის ფრანგული მოდელის, განსხვავებით გერმანულისაგან, შეუძლებლობა განიხილება, როგორც როგორც შესრულების ზღვარი, რომლის იქითაც არ შეიძლება შესრულების მოთხოვნა შესაბამისად, ლოგიკურია, რომ ამ შეუსრულებლობისათვის მოვალეს არ ეკისრება არავითარი, მათ შორის, არც მეორადი პასუხისმგებლობა. ამის საპირისპიროდ, გერმანულ სამართალზე დაყრდნობით ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისას ადგილი აქვს მხოლოდ პირველადი ვალდებულებების გაქარწყლებას გსკ-ის 275-ე პარაგრაფის საფუძველზე, თუმცა აღსანიშნავია, რომ გაქარწყლებით ყველაფერი არ სრულდება და მხოლოდ ამის შემდეგ წარმოიშობა მეორადი მოთხოვნები, მხოლოდ მაშინ თუ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა მოვალის ბრალით მოხდა.²⁹

2.2. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა საერთო სამართლის სისტემაში

XIX საუკუნის შუა წლებამდე ინგლისში დომინირებდა მოსაზრება, რომ ხელშეკრულების შესრულება ყოველთვის იყო სავალდებულო, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პრეცედენტული გადაწყვეტილებით სასამართლომ ხელშეკრულების სავალდებულობა განმარტა შემდეგნაირად: „თუ ვალდებულებას ან უფლებას კანონი წარმოშობს და პირს არ შეუძლია მისი შესრულება, კანონი აპატიებს მას მაგრამ, როდესაც პირი ხელშეკრულებით კისრულობს ვალდებულებას, მან უნდა შეასრულოს ის ყველა წინააღმდეგობის მიუხედავად“. აღნიშნული პოზიცია შეიცვალა 1863 წელს მიღებული გადაწყვეტილებით (Taylor v. Caldwell), რომლითაც საფუძველი დაედო ხელშეკრულების საფუძველის რღვევის დოქტრინას (frustration of contract).³⁰

²⁹ სირდაძე ლ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილების ანალიზი, №28/445010, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 1/2019.

³⁰ ტაბატაძე დ., ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისდამი, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, II გამოცემა, 2013, გვ. 3, იხ.ციტირება: Egidijus Baranauskas., Paulius

შეუძლებლობის დოქტრინას (impossibility) ვიწრო არეალი აქვთ და იშვიათად გამოიყენება. შეუძლებლობა ძირს უთხრის ხელშეკრულების ბუნებას, როგორც იურიდიულად შესასრულებელ ვალდებულებას.³¹ ინგლისში ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისისთვის შესრულების შეუძლებლობის შესაფასებლად რამდენიმე კომპონენტი გამოიყოფოდა: (1) სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელი საგნის მიუღებლობა; (2) ზედამხედველობა ან სხვა სამთავრობო ჩარევა; (3) ხელშეკრულების სხვა პუნქტები; (4) მხარის ბრალი; და (5) შეუძლებლობის ხანგრძლივობა.³²

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა შესაძლოა განპირობებული იყოს სხვადასხვა გარემოებით, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ნიუ იორკის ზოგიერთმა სასამართლომ მხოლოდ ფინანსურ მდგომარეობაზე მითითება არ ჩათვალა შეუძლებლობის გამამართლებელ არგუმენტად (მათ შორის, როდესაც ეს იწვევს გაკოტრებას ან გადახდისუუნარობის).³³

როგორც ზემოთ აღინიშნა, შესრულების შეუძლებლობის დოქტრინის დამკვიდრება საერთო სამართლის სისტემაში უკავშირდება ერთ-ერთ ძალიან ცნობილ საქმეს, რომელიც შედგომში ანგლოამერიკული სამართლის სისტემაში ტეილორის პრინციპით დამკვიდრდა. აღნიშნული პრინციპის თანახმად, თუ ხელშეკრულების შესრულება დამოკიდებულია რომელიმე ნივთის ან პირის არსებობაზე და ნადგურდება რომელიმე მათგანი მაშინ შეუსრულებლობა არის ცალსახად გამართლებული. ³⁴ იგივე პრინციპი განავითარა სასამართლომ სხვა საქმეშიც, სადაც ხაზი გაესვა იმას, რომ აუცილებელი არ იყო ხელშეკრულების საგნის პირდაპირ განადგურება და შესაძლოა შესრულებას საერთოდ აღარ

Zapolskis., The effect of change in circumstances on the performance of contract, Mykolas Romeris University, Faculty of Law, Department of Business Law Ateities 20, LT-08303 Vilnius, Lithuania, 2009.

³¹ *Andrew A. Schwartz.*, Contracts and COVID-19, Stanfrd Law Review Online, Volume 73, July 2020, p.49, იხ.ციტირება: *Kel Kim Corp. v. Cent. Mkts., Inc.*, 519 N.E.2d 295, 296 (N.Y. 1987).

³² *John D Wladis.*, Common Law and Uncommon Events: he Development of the Doctrine of Impossibility of Performance in English Contract Law, p.35.

³³ *Christian Leathley., Amal Bouchenaki., Ben Rubinstein* COVID-19: pressure points: contractual implications and considerations under new york law Legal Briefings –02 April 2020 | United States; p.3.

³⁴ Court of Queen's Bench, *Taylor and Another v. Caldwell and Another*, [1863] EWHC QB J1 122 ER 309;3 B. & S. 826.

ჰკონდეს არანაირი აზრი თუ განადგურებულია ვალდებულების შესასრულებლად აუცილებელი სხვა კომპონენტები.³⁵

მართალია, ინგლისის სამართალი ცალსახად არ აწესებს ფორს-მაჟორის ნორმას, მაგრამ ხელშეკრულება შეიძლება შეიცავდეს დებულებას ფორსმაჟორული მოვლენების თაობაზე.³⁶ თუმცა, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ინგლისში ყველაზე მეტად გავრცელებულია ხელშეკრულების საფუძვლის მოშლის დოქტრინა.³⁷ ამ უკანასკნელზე მითითება არ არის შესაძლებელი, თუ გარემოება, რომელმაც ხელი შეუშალა ვალდებულების შესრულებას წინასწარ იყო პროგნოზირებადი.³⁸

აღსანიშნავია, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლის შემდეგ ვალდებულების შესასრულებლად აუცილებელი საგნის განადგურება გამოიწვევს ხელშეკრულების საფუძვლის მოშლას, ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელი არ არის საგნის აბსოლუტური განადგურება³⁹ ხელშეკრულება საფუძველი დარღვეულად მიიჩნევა მაშინაც, როდესაც ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოცენდება ისეთი მოვლენები, რომლებიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულების შესრულებას, იწვევს უკანონობას ან რადიკალურად ცვლის იმ ვითარებას, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლისას იყო.⁴⁰

ხელშეკრულების საფუძვლის რღვევას მხარეების სახელშეკრულებო ვალდებულებისგან გათავისუფლებამდე მივყავართ.⁴¹ გარდა ამისა, გამოირიცხება მათი ყოველგვარი ზედმეტი პასუხისმგებლობა.⁴² საგულისხმოა

³⁵ *Appleby v Myers* (1867) LR 2 CP 65 1; ხელმისაწვდომია:<https://www.lawteacher.net/cases/appleby-v-myers.php> საბოლოო ვიზიტი: [21.05.2021].

³⁶ *King Fung Tsang*, From Coronation to Coronavirus: Covid-19, Force Majeure and Private International Law, 44 *Fordham Int'l L.J.* 187 (2020) p.198.

³⁷ *United States Bankruptcy Court, D. Delaware Re Atlantic Gulf Communities Corp.*, 369 B.R. 156 *Bankr. D. Del.* 2007, May 22.

³⁸ *Supreme Court of New York, Warner v. Kaplan*, 71 A.D.3d 1, 6, 892 N.Y.S.2d 311, 315 (2009).

³⁹ *ndubuisi augustine nwafor*, Comparative and Critical Analysis of the Doctrine of Exemption/Frustration/Force Majeure under the United Nations Convention on the Contract for International Sale of Goods, *English Law and UNIDROIT Principles Scotland* MARCH 2015, p.61.

⁴⁰ *Ewan McKendrick*, *Contract Law*, Twelfth edition, Palgrave Law Masters, p. 353.

⁴¹ *The supreme court of Honk Kong, Hirji Mulji v Cheong Yue Steamship Co Ltd* [1926] AC 497; 95 LJPC 121; 1921

⁴² *Ewan McKendrick*, *Contract Law*, Twelfth edition, Palgrave Law Masters, p.730.

ისიც, რომ პასუხისმგებლობა ყოველთვის არ არის გამორიცხული. შესაძლებელია სახეზე გვქონდეს ხელშეკრულების საფუძვლის მოშლა, თუმცა ეს იყოს გამოწვეული ერთ-ერთი მხარის მიერ (self-induced frustration), ბუნებრივია, რომ ზემოაღნიშნული ამ შემთხვევაზე არ ვრცელდება.⁴³ პასუხისმგებლობისგან გათავისფურებას არ ექნება ადგილი იმ შემთხვევაშიც თუ მხარეებმა ზედმიწევნით დეტალურად განსაზღვრეს ხელშეკრულების დებულებები და წინასწარ გაითვალისწინეს მოსალოდნელი ხელშეკრულების საფუძვლის მოშლა.⁴⁴

ანგლოამერიკული სამართლის სისტემაში გამოიყოფა ხელშეკრულების საფუძვლის მოშლის სხვადასხვა შემთხვევები: "ხელშეკრულების საფუძვლის მოშლა შეუძლებლობის გამო" (როდესაც ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელი ხდება, რადგან შემსრულებელი გარდაიცვალა ან ხელშეკრულების ობიექტი მიუწვდომელი გახდა), "ხელშეკრულების საფუძვლის მოშლა კანონით" (როდესაც ხელშეკრულება ძალაშია მისი ფორმირების დროს, თუმცა შემდგომ ახალი კანონის საფუძველზე იგი უკანონო ხდება) და "მიზნის იმედგაცრუება". აღსანიშნავია, რომ ინგლისში აღიარებულია მხოლოდ თავდაპირველი შეუძლებლობა და არა შემდგომი შეუძლებლობა ან შეცვლილი გარემოებების დოქტრინა. ამის საპირწონედ, ინგლისის სასამართლოებმა შეიმუშავეს ხელშეკრულების საფუძვლის მოშლის დოქტრინა, რომელიც მოიცავს სამ ქვე-დოქტრინას: შეუძლებლობა, იმედგაცრუება, ხელშეკრულებისა და მიზნის რღვევა.⁴⁵ თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისში აღიარებულია ხელშეკრულების საფუძვლის რღვევის დოქტრინა, იგი მაინც ძალიან მკაცრი დამოკიდებულებით უდგება იმ შემთხვევებს, როდესაც საქმე ეხება შეცვლილ გარემოებებთან მისადაგებას.⁴⁶

ინგლისურ სასამართლო პრაქტიკაში არის არაერთი მაგალითი, როდესაც სასამართლოებმა გამოიყენეს ხელშეკრულების საფუძვლის რღვევის დოქტრინა,

⁴³ *Ewan McKendrick*, Contract Law, Twelfth edition, Palgrave Law Masters, p.346.

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ *Klaus Peter Berger*, *Daniel Behn*, Force Majeure and Hardship in the Age of Corona: A Historical and Comparative Study, Volume 6 (2019-2020), *McGill Journal of Dispute Resolution*, Volume 6 (2019-2020), Number 4 Article, p.99 დამატებით იხ. *Court of Queen's Bench*, *Taylor and Another v. Caldwell and Another*, [1863] EWHC QB J1 122 ER 309; 3 B. & S. 826.

⁴⁶ *Egidijus Baranauskas*, *Paulius Zapolskis*, The effect of change in circumstances on the performance of contract, *Mykolas Romeris University, Faculty of Law, Department of Business Law Ateities* 20, LT-08303 Vilnius, Lithuania, 2009, p.6.

რომელიც თავისი შინაარსით ძალიან ახლოს იდგა შეცვლილ გარემოებებთან მისადაგებასთან. საქმის განხილვის საგანი იყოს 1919 წელს გაფორმებული ხელშეკრულება წყლის მიწოდების თაობაზე. წყალმომარაგების კომპანია თავიდან თანახმა იყო, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული ფიქსირებული ფასის შესაბამისად მიეწოდებინა კონტრაქტისთვის წყალი, თუმცა ფიქსირებულ ფასებზე შემდგომში ინფლაციამ მოახდინა გავლენა. ამრიგად, 1975 წელს ხელშეკრულების მონაწილემ მოითხოვა მისი გაუქმება, რადგან შესრულების რეალური ხარჯები ბევრად აღემატებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფიქსირებულ გადასახადს, რაც დაკმაყოფილდა კიდეც.⁴⁷

ხელშეკრულების საფუძვლის მოშლის განსაკუთრებული ხასიათის მიუხედავად, COVID-19-ის წინააღმდეგ მიმართული სამთავრობო თუ საპარლამენტო ღონისძიებები შესაძლებელია მოვიაზროთ ამ კატეგორიაში. იქ, სადაც ხელშეკრულების შესრულებას დროზეა დამოკიდებული მარაგის ან პერსონალის დროებითმა მიუწვდომლობამ შეიძლება უდავოდ გამოიწვიოს ხელშეკრულების საფუძვლის რღვევა ანალოგიურად, COVID-19-ის საპასუხოდ მიმართულმა ღონისძიებებმა შესაძლებელია, რომ გარკვეული ვალდებულებების შესრულება უკანონო გახადოს.⁴⁸

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ინგლისის კანონმდებლობის თანახმად, COVID-19 პანდემია შეიძლება შეფასდეს როგორც შეუძლებლობის ან ხელშეკრულების საფუძვლის მოშლის შემთხვევად, შესაბამისად, ამ ვითარებაში ხელშეკრულების შესრულება გონივრულად არ არის ნავარაუდები.⁴⁹

3. ვალდებულების შესრულების ეკონომიკური შეუძლებლობა, პრაქტიკულად გაუმართლებელი შესრულება (Impracticability)

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური შეუძლებლობა, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ერთ-ერთი ფორმაა და განსაკუთრებული აქტალურობა კოვიდ-19-ის კონტექსტში შეიძინა, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში არსებობდა ხელშეკრულების შესრულების ფაქტობრივი

⁴⁷ *Staffordshire AHA v South Staffordshire Waterworks Co* [1978] 1 W.L.R. 1387 (02 May 1978).

⁴⁸ *Klaus Peter Berger., Daniel Behn., Force Majeure and Hardship in the Age of Corona: A Historical and Comparative Study, Volume 6* (2019-2020), *McGill Journal of Dispute Resolution, Volume 6* (2019-2020), Number 4 Article, p.1023.

⁴⁹ იქვე, გვ.107.

შესაძლებლობა, თუმცა ეს ხშირად დაკავაშირებული იყო დიდ დანახარჯებთან და, შესაბამისად, დიდ ტვირთად აწვებოდა ვალდებულ პირს.

ეკონომიკური შეუძლებლობის შემთხვევების უმეტესობა კორელაციაშია მნიშვნელოვან ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიკურ კრიზისთან. ეკონომიკურ შეუძლებლობასთან მიმართებით სასამართლო გადაწყვეტილებათა 1-ლი ეტაპი წარმოიშვა სუეცის არხის დაკეტვის შედეგად. ხოლო რაც შეეხება ეკონომიკური შეუძლებლობის მეორე ეტაპს იგი წარმოიშვა მას შემდეგ რაც ნავთობის ექსპორტიორმა ქვეყნებმა ემბარგო დაუწესეს ნავთობის ექსპორტს იმ ქვეყნებში, რომლებიც ისრაელის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას იჩენდნენ.⁵⁰

აღსანიშნავია, რომ COVID-19-მა ზოგიერთ შემთხვევაში გაცილებით რთული ან ძვირადღირებული გახადა ხელშეკრულება, თუმცა-არა ფაქტობრივად ან იურიდიულად შეუძლებელი. მაგალითად, თუ მომწოდებელი დაგპირდათ ათასი ბეისბოლის ხელთათმანების მიწოდებას, მაგრამ მისი ქარხანა არის ნიუ-იორკში, რომელიც დახურულია სამთავრობო შეზღუდვების გამო, თუმცა ამავე დროს ასევე არსებობს მეორე ქვეყანა, იაპონია, სადაც შეიძლება პროდუქციის წარმოება, მაგრამ წარმოებისა და გადაზიდვის ხარჯების მკვეთრი ზრდით, ამ შემთხვევაში სასამართლო მხარეს არ ათავისუფლებს შესრულებისგან, თუმცა შესაძლოა დამატებით წარმოშობილი ხარჯები გაიზარდოს იმ დონემდე, რომ შესრულება უკვე ეკონომიკურად აღარ იყოს გამართლებული სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილისთვის.⁵¹

COVID-19 კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ამერიკის შერთებულ შტატებში დამკვიდრებულმა ტერმინმა “impracticability”, რადგან არაერთი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება ტექნიკურად შესაძლებელი იყო, მაგრამ კომერციულად გაუმართლებელი. მაგალითად, შტატების უმეტესობამ შეზღუდა სარესტორნო ბიზნესის საქმიანობა, მაგრამ ნება დართეს რესტორნებს, რათა მათ მიწოდების სერვისით გაეგრძელებინათ მუშაობა. თუმცა, ამ მხრივ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ

⁵⁰ *Jennifer Camero.*, Mission Impracticable: The Impossibility of Commercial Impracticability, 13 U.N.H. L. REV. volume 13, article 2, 1 (2015) p.7.

⁵¹ *Andrew A. Schwartz.*, Contracts and COVID-19, Stanfrd Law Review Online, Volume 73, July 2020, p.53.

შეზღუდვების ფონზე საქმიანობის გაგრძელება ეკონომიკური თვალსაზრისით შესაძლოა ყველა სუბიექტისთვის არ იყოს მომგებიანი.⁵²

მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა და მისი პრაქტიკული გაუმართლებლობა. იურიდიული თვალსაზრისით შეუძლებლობასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ვალდებულების შესრულება და, შესაბამისად, შედეგამდე მისვლა აბსოლუტურად ყველა სუბიექტისთვის არის შეუძლებელი. რაც შეეხება პრაქტიკულად გაუმართლებლობას, (ან პრაქტიკულად შეუძლებლობას) მასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ვალდებულების შესრულება ობიექტურად შესაძლებელია, თუმცა ამას მოყვება გადაჭარბებული და არაგონივრული დანხარჯები.⁵³ ცნება დანახარჯი მოიცავს როგორც პიროვნულ გარჯას, ასევე ფულად ხარჯს.⁵⁴

ზემოაღნიშნულთან მიმართებით აღსანიშნავია ნიუ –იორკის სავაჭრო კოდექსის მე-2 მუხლი. იგი აწესრიგებს იმ შემთხვევას, როდესაც ხელშეკრულების შესრულება ზედმეტი დანახარჯის გამო პრაქტიკულად გაუმართლებელია, რაც იწვევს პირის ვალდებულებისგან გათავისუფლებას იმ შემთხვევაშიც კი თუ ხელშეკრულების ობიექტი ან საშუალებები არ არის განადგურებული.⁵⁵

ეკონომიკურ შეუძლებლობასთან მიმართებით ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განიმარტა, რომ მხარეები ვერ გაითვალისწინებდნენ ეკონომიკური ვარდნის მასშტაბებს შესაბამისად, შესრულება შეუძლებელი იყო, გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს შემთხვევა აშკრად აკმაყოფილება პრაქტიკულად გაუმართლებელი შესრულების კრიტერიუმებს.⁵⁶

4. ვალდებულების შესრულების სამართლებრივი შეუძლებლობა და მისი მიმართება კოვიდ-19-თან

⁵² *Matt Peters., Janet Kwuon., Force Majeure One year later May 2021, 02 Reed Smith LLP, p.11, p.12.*

⁵³ *Supreme Court Of California, Mineral Park Land Co. v. Howard - 172 Cal. 289, 156 P. 458 1916.*

⁵⁴ *ი. კროპოლერი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2014, 275-ე პარაგრაფი, ველი 4.*

⁵⁵ *New York Uniform Commercial Code (“UCC”), - ARTICLE 2 - SALES (2002), § 2-615.*

⁵⁶ *United States District Court, Bank of America, N.A. v. Shelbourne Development Group, Inc., 732 F.Supp.2d 809, , N.D. Illinois. Aug 18, 2010.*

სამართლებრივი შეუძლებლობა შესრულების შეუძლებლობის ერთ-ერთი სახეა და მას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ვალდებულების შესრულებასა და შედეგის დადგომას ხელს უშლის ცალკეული სამართლებრივი საფუძველი.⁵⁷

სამართლებრივ შეუძლებლობას ადგილი აქვს მაშინ როდესაც კომპეტენტური სახელმწიფო ორგანო გამოსცემს ისეთ სამართლებრივ აქტს, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს ხელშეკრულების მონაწილის მიერ ვალდებულების შესრულებას.⁵⁸ სამართლებრივი შეუძლებლობა დადგება იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე ადგილი ექნება ვალდებულების შესრულებისთვის აუცილებელი მოქმედების შეზღუდვას, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი აქვს ვალდებულების შესრულების დროებით დაბრკოლებას, შესაბამისად ვალდებულება ჩვეულებრივ უნდა შესრულდეს მას შემდეგ რაც გაუქმდება სახელმწიფოს მიერ მიღებული ღონისძიება, რომელიც კრძალავდა ან ზღუდავდა კონკრეტული მოქმედების განხორციელებას. მართალია, სახელმწიფო შეზღუდვის გაუქმების შემდეგ თეორიულად კვლავ არის შესაძლებელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, მაგრამ აღნიშნულს ხელს უშლის კოვიდ-პანდემიით გამოწვეული სხვადასხვა წინაღობა. ასეთი სიტუაცია შეიძლება წარმოიქმნას მაშინ, როდესაც დაწესებული „ლოქდაუნის“ „განმავლობაში გაჩერებული იყო წარმოება და ამის გამო წარმოიშვა სხვა დამაბრკოლებელი გარემოებები, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა პროდუქციისა და შეკვეთების მომზადება“.⁵⁹ მსგავს შემთხვევაში შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგება. იგივე შემთხვევა გვექნება სახეზე იმ შემთხვევაშიც თუ მაგალითად იჯარის ან ქირავნობის საგანი მიუწვდომელია სხვადასხვა გარემო ფაქტორის გამო, როგორებიცაა: კარანტინი, იზოლაცია, ლოქდაუნი და ა.შ.⁶⁰

როგორც უკვე აღინიშნა, შესაძლოა, რომ სამართლებრივ შეუძლებლობას ჰქონდეს მხოლოდ დროებითი ხასიათი და დაწესებული შეზღუდვის გაუქმებით სრულად

⁵⁷ რუსიაშვილი გ./დარჯანია თ./მაისურაძე დ., ზოგადი ვალდებულებითი სამართალი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2020, გვ.60.

⁵⁸ თოდუა.მ/ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2006, გვ.27.

⁵⁹ ჰაგენლოხი უ., კოვიდ-19-თან დაკავშირებული სამოქალაქო-სამართლებრივი საკითხები: ქართული სამართლებრივი ვითარების შეფასება გერმანული პერსპექტივიდან, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 3/2021, გვ. 14.

⁶⁰ იქვე, გვ.16.

აღმოფხვრას დამაბრკოლებელი გარემოებები,⁶¹ თუმცა აღნიშნულთან მიმართებით გასათვალისწინებელია ხომ არ დაკარგეს მხარეებმა ხელშეკრულების მიმართ ინტერესი, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზოგიერთი ვალდებულების განსაზღვრულ ვადაში შესრულება არის უფლებამოსილი პირის უპირატესი ინტერესი, რაც ამკრძალავი/შემზღუდველი სამართლებრივი აქტის გაუქმებისას შესაძლებელია, რომ საერთოდ აღარ არსებობდეს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ როგორც წესი, სამართლებრივი შეუძლებლობა თავს სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლის შედეგად იჩენს. შესაძლოა, რომ ამ უკანასკნელს ჰქონდეს გლობალური ხასიათი. ზემოაღნიშნულის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს მეორე მსოფლიო ომის პერიოდი, როდესაც მტერთან ურთიერთობის შეწყვეტის მოტივით პოლონეთსა და გერმანიას შორის მანქანებით ვაჭრობა აიკრძალა.⁶²

სამართლებრივ შეუძლებლობასთან მიმართებით კოვიდ-19-ის კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ხელისუფლებისა და საკანონმდებლო ორგანოს მიერ დაწესებული შეზღუდვების საფუძველზე აიკრძალა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში დაგეგმილი არაერთი ღონისძიება, რომელიც კონკრეტული დროით, ადგილითა და შემსრულებლით განისაზღვრებოდა. აღნიშნული წარმოადგენს სასამართლებრივი შეუძლებლობის ერთ-ერთ კლასიკურ შემთხვევას.⁶³ იმისათვის, რომ მხარე სამართლებრივ შეუძლებლობაზე მითითებით გათავისუფლდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებისგან საჭიროა მხოლოდ იმაზე მითითება, რომ კანონი კრძალავს შესრულებას. სხვა დამატებითი წინაპირობებისა თუ მტკიცებულებების შესწავლის გარეშე.⁶⁴ აღნიშნული

⁶¹ ზოიძე თ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტი თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2019, გვ.153.

⁶² *Fibrosa SA v Fairbairn Lawson Combe Barbour Ltd* [1943] AC 32 *Fibrosa SA v Fairbairn Lawson Combe Barbour Ltd* [1943] AC 32.

⁶³ *ჰაგენლოხი უ.*, კოვიდ-19-თან დაკავშირებული სამოქალაქო-სამართლებრივი საკითხები: ქართული სამართლებრივი ვითარების შეფასება გერმანული პერსპექტივიდან, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 3/2021, გვ. 15.

⁶⁴ *King Fung Tsang.*, From Coronation to Coronavirus: Covid-19, Force Majeure and Private International Law, 44 *Fordham Int'l L.J.* 187 (2020); p.217.

მიდგომა გამომდინარეობს იმ ლოგიკიდან, რომ სამართლებრივად შეუძლებელი ვალდებულება ისედაც საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და თუ სახელმწიფოს მიერ გატარებული ზომები პირდაპირ კრძალავს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებას, შესაბამისად, ვალდებულები პირის პასუხისმგებლობისგან გასათავისუფლებლად აღარ არის საჭირო დამატებითი მტკიცებულებების არსებობა.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, აშკარად იკვეთება, რომ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ მიმართულმა ზომებმა არაერთი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება გახადა სამართლებრივად შეუძლებელი, რაც ცალსახად პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველია.

5. ვალდებულების შესრულების დროებითი და ნაწილობრივი შეუძლებლობა

უპირველეს ყოვლისა, ტერმინი „დროებითი შეუძლებლობა“ უნდა განვასხვავოთ „ნაწილობრივი შეუძლებლობისგან“. ეს უკანასკნელი ტერმინი ხშირად გამოიყენება სიტუაციის აღსაწერად, როდესაც დაპირებული ვალდებულების შესრულება შესაძლებელია მხოლოდ ნაწილობრივ. „დროებითი შეუძლებლობა“ ნიშნავს გარემო ფაქტორების გამო შესრულების ისეთ შეფერხებას, რაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეუძლებელს ხდის ვალდებულების შესრულებას.⁶⁵ ნაწილობრივ შეუძლებლობასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ თუ ხელშეკრულების ნაწილი შესრულებულია პანდემიამდე და მეორე ნაწილის შესრულებას ართულებს დაწესებული შეზღუდვები, მაშინ შესაძლებელია, რომ ვალდებულები პირის დაცვის ბერკეტად ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგება მოგვევლინოს.

კოვიდ-19-ის კონტექსტში განსაკუთრებით აქტუალობას იძენს დროის ფაქტორი. მიუხედავად იმისა, რომ COVID-19 პანდემია შეიძლება იყოს ფორს-მაჟორული მოვლენა, როგორც ეს განსაზღვრულია კიდევ ხელშეკრულებაში, აღნიშნული აპრიორი არ ნიშნავს იმას, რომ ვალდებულების შესრულება დროებით შეჩერებულია ან ან მისი შესრულება შეუძლებლობის საფუძველით გამოირიცხა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ხელშეკრულების დანარჩენი მუხლების სწორი ანალიზი, ინტერპრეტაცია და არსებულ ფაქტობრივ გარემოებებზე მორგება. იმ შემთხვევაში თუ გადაიდო სამუშაოების დაწყება, შესრულება ან დასრულება ფორსმაჟორული გარემოების გამო, შესაძლებელია ვადის გაგრძელება იმ

⁶⁵ *King Fung Tsang.*, From Coronation to Coronavirus: Covid-19, Force Majeure and Private International Law, 44 *Fordham Int'l L.J.* 187 (2020); p.217.

პირობით, რომ ვალდებულ პირს ფორსმაჟორული გარემოებებზე მითითებით არ ექნება გაზრდილი ხარჯების, დამატებითი კომპენსაციის ან ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების მიღების უფლება, რომელიც გამოწვეულია ამ მდგომარეობის გამო.⁶⁶ ასეთ შემთხვევებში ხელშეკრულება ფასდება, როგორც შეჩერებული, შესაბამისად, ვითარების შეცვლის შემდეგ პირი ვალდებულია, რომ სრულად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება.⁶⁷

6. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის სხვა სახეები

არსებობს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის სხვა სახეებიც, მათ შორის, ნამდვილი შეუძლებლობა, ობიექტური შეუძლებლობა და სხვა. ვალდებულების შესრულების ნამდვილ შეუძლებლობასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც შესრულება ყველა ადამიანისთვის ან „სულ მცირე მოვალისთვის“ შეუძლებელია.⁶⁸ ვალდებულების ობიექტური შეუძლებლობა სახეზეა, როდესაც ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება მეცნიერული ან ტექნოლოგიური ცვლილებების გამო.⁶⁹ შესრულების ობიექტური შეუძლებლობა მაშინ გვაქვს სახეზე, როდესაც ვალდებულების შესრულება შეუძლებელია არა მარტო ვალდებული პირისათვის, არამედ სხვა ნებისმიერი სახელშეკრულებო ურთიერთობის მიღმა მყოფი პირისთვის.⁷⁰

ცალკე გამოიყოფა ვალდებულების შესრულების სუბიექტური შეუძლებლობა, რომელიც უკავშირდება მოვალის ინდივიდუალურ შესრულებას და მის უნარ-ჩვევებს, შესაბამისად ამ შემთხვევაში ვალდებულების შესრულება მოვალისთვის შეუძლებელია, თუმცა მესამე პირებს თავისუფლად შეუძლიათ ამავე ვალდებულების შესრულება.⁷¹

⁶⁶ United States Court of Appeals, Eleventh Circuit, S & B / BIBB Hines PB3 Joint Venture v. Progress Energy Florida, Inc., 365 F. App'x 202 (11th Cir. 2010).

⁶⁷ COVID-19 Georgia Legal Guidebook Key issues to consider, pwc, 2020, p. 10.

⁶⁸ რუსიაშილი გ./დარჯანია თ./მაისურაძე დ., ზოგადი ვალდებულებითი სამართალი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2020, გვ.60.

⁶⁹ ი.კროკოლერი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2014 გსკ §275, ველი 4.

⁷⁰ ზოიძე თ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტი თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2019, გვ. 147.

⁷¹ ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 401, ველი 13.

აღსანიშნავია, რომ როგორც ქართულ ისე გერმანულ სამართალში ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა იწვევს პირველადი მოთხოვნის შეწყვეტას მიუხედავად მოვალის ბრალისა. აღნიშნული მიდგომა ემყარება იმ ლოგიკას, რომ თუ ვალდებულების შესრულება არ არის შესაძლებელი, მაშინ არავითარი აზრი არ აქვს უფლებამოსილი პირის მიერ შესრულების მოთხოვნას, მიუხედავად ასეთი მდგომარეობის გამომწვევი მიზეზისა.⁷²

III. ფორს-მაჟორი, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების წინაპირობა და ხელშეკრულების მისადაგება, როგორც კოვიდ-19-ით გამოწვეული არსებითი ცვლილების საუკეთესო გამოსავალი

1. ფორსმაჟორი, ზოგადი მიმოხილვა

ფორსმაჟორი (ლათინურად "vis major") ზოგჯერ ინგლისურად ითარგმნება როგორც "გარეგანი ძალა", მაგრამ სიტყვასიტყვით ითარგმნება როგორც "ზებუნებრივი ძალა". იგი წარმოადგენს საფრანგეთის სამოქალაქო სამართლის სისტემაში აღმოცენებულ ტერმინს. ფორს-მაჟორის დოქტრინა უკავშირდება გაუთვალისწინებელ მოვლენებს, რომლებიც შეუძლებელს ხდის ვალდებულების შესრულებას. იგი მოიცავს შემდგომი შეუძლებლობის შემთხვევებს, ანუ სახელშეკრულებო ურთიერთობის დაწყების შემდგომ აღმოცენებულ არაპროგნოზირებად მოვლენებს, რომლებიც არ ექვემდებარება ვალდებული პირის კონტროლს. ფორს-მაჟორულ გარემოებებში მოიაზრება ხანძრები, წყალდიდობები, გვალვები, მიწისძვრები, სამოქალაქო არეულობები, ტერაქტები და ა.შ.⁷³

როგორც უკვე აღინიშნა, ფორსმაჟორი წარმოადგენს ფრანგულ ტერმინს. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი ნორმატიულ დონეზე აწესრიგებს ფორს-მაჟორის შემთხვევას, რაც განსაზღვრულია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1218-ე მუხლით, რომლის თანახმად ფორს-მაჟორული გარემოება ამართლებს

⁷² რუსიაშვილი გ./დარჯანია თ./მაისურაძე დ., ზოგადი ვალდებულებითი სამართალი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2020, გვ.60.

⁷³ Klaus Peter Berger., Daniel Behn., Force Majeure and Hardship in the Age of Corona: A Historical and Comparative Study, Volume 6 (2019-2020), McGill Journal of Dispute Resolution, Volume 6 (2019-2020), Number 4 Article p.90 იხ.ციტირება:the non-exhaustive list of force majeure events in "Force Majeure TransLex-Principle VI3" at VI 3 (c), online: TransLex Law Research <www.trans-lex.org/944000>.

ვალდებულების შეუსრულებლობას მაშინაც კი, როდესაც ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დებულებას ამის შესახებ.⁷⁴

იმისათვის, რომ კონკრეტულ გარემოებას მიენიჭოს ფორს-მაჟორის კვალიფიკაცია, უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: 1) მოვლენა უნდა იყოს მხარეთა კონტროლს მიღმა 2) მოვლენა არ უნდა იყოს წინასწარ განჭვრეტადი 3) მოვლენის დადგომა შეუძლებელს უნდა ხდიდეს ვალდებულების შესრულებას, შესაბამისად გარემოების ფორსმაჟორად კვალიფიკაციისთვის მხედველობაში არ მიიღება ვალდებულების შესრულების დროებითი შეუძლებლობა.⁷⁵ ტრანსნაციონალურმა წესებმა და საერთაშორისო გრძელვადიანი ხელშეკრულებების პრაქტიკამ დაამკვიდრა 4 კრიტერიუმი ფორსმაჟორული გარემოების შეფასებისთვის 1) გარეგანი მოვლენის დადგომა, რომლისთვისაც მოვალეს არ აუღია რისკი; 2) გარდაუვალობა 3) არაპროგნოზირებადობა 4) მიზეზობრივი კავშირი ("conditio sine qua non" ან "but-for" ტესტი).⁷⁶

2. კოვიდ-19, როგორც ფორსმაჟორული გარემოება

აღსანიშნავია, რომ კოვიდ-19-ის აფეთქება დაიწყო ძალიან სწრაფად და რამდენიმე თვეში პიკსაც მიაღწია, შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო, რომ კოვიდ-19-ის კონტექსტში განსაზღვრულიყო თუ კონკრეტულად რას მოიცავდა გადაულახავი გარემოებები და რამდენად მოიცავდა ხელშეკრულებაში აღნიშნული ტერმინი „ფორსმაჟორული გარემოებები“ მსოფლიო პანდემიას. მოვლენის დაუძველევ ძალად მიჩნევისთვის გარდა მხარეთა პასიური მოქმედებისა (მოვლენა უნდა იყოს მხარეთა კონტროლს მიღმა) აუცილებელია გადაულახავობისა და არაპროგნოზირებადობის ელემენტების არსებობა.⁷⁷

⁷⁴ Code civil des Français, Article 1218.

⁷⁵ *Laura Maria Franciosi*, L. M. (2020). The Effects of COVID-19 on International Contracts: A Comparative Overview. *Victoria University of Wellington Law Review*, 51(3) p.430.

⁷⁶ *Klaus Peter Berger*, *Daniel Behn*, Force Majeure and Hardship in the Age of Corona: A Historical and Comparative Study, Volume 6 (2019-2020), *McGill Journal of Dispute Resolution*, Volume 6 (2019-2020), Number 4 Article p.109-110.

⁷⁷ *კანტურია ლ./ ზოიძე ბ./ ნინიძე თ./ შენგელია რ./ ცეხურიანი ჯ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა სამართალი, თბილისი, 2001, მუხლი 394 გვ. 373.

გადაულახავობის კომპონენტის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს ვალდებულების შესრულების, როგორც სუბიექტური ისე ობიექტური გარემოებები. პანდემია, შესაძლებელია თავისთავად არ ჩაითვალოს იმ გადაულახავ გარემოებად, რაც იწვევს მაგალითად შემოსავლის წყაროს დაბლოკვას. გადაულახავი გარემოებაა სახელმწიფოს მიერ შემოღებული შემზღუდავი რეგულაციები. პირის შემოსავლის წყაროს გაქრობა ხელისუფლების მიერ დაწესებული შეზღუდვების გამო გადაულახავი გარემოებაა, თუმცა, თუ პირი საქმიანობას წყვეტს საკუთარი ნებით(იქნება ეს დაინფიცირების თავიდან არიდების მიზნით თუ იმ გათვლით, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადაადგილების შეზღუდვა ნაკლებ მომხმარებელს ნიშნავს და ეკონომიკური საქმიანობა ამ გარემოში არამომგებიანია), გადაულახავობის წინაპირობა უნდა გამოირიცხოს.

ხოლო რაც შეეხება არაპროგნოზირებადობას ამ კუთხით წამოიჭრება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ, თუ როდის არის ხელშეკრულება დადებული. თუ გარიგება შედგა პანდემიამდე, მაშინ ეს კრიტერიუმი სახეზე უნდა იყოს, თუმცა, თუ გარიგება დაიდო მას შემდეგ რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კოვიდ-19 გლობალურ პანდემიამ აღიარა, ფორს-მაჟორულ გარემოებაზე მითითება ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული.

ამ საკითხთან მიმართებით საინტერესოა ქართული სასამართლო პრაქტიკა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთი საქმეში დაუძლეველი ძალად მიიჩნია 2006 წლის ოქტომბრის დასაწყისიდან რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების გადაწყვეტილების საფუძველზე შეზღუდული საზღვაო, საჰაერო, საავტომობილო და სარკინიგზო მიმოსვლის ფაქტი.⁷⁸

როგორც წესი, პანდემია არ არის ფორსმაჟორული მოვლენა. იგი წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიზისის ფაქტობრივ ან სამართლებრივი შედეგებს. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება მოიცავდეს ძირითად დასაქმებულთა დაინფიცირებას იზოლაციას ან მიწოდების ჯაჭვის შეწყვეტას. სამართლებრივი შედეგები უკავშირდება კომენდანტის საათს, მოგზაურობის

⁷⁸ *ჭანტურია ლ./ ზოიძე ბ./ ნინიძე თ./ შენგელია რ./ ცეხურიანი გ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა სამართალი, თბილისი, 2001, მუხლი 394 გვ. 373.

შეზღუდვებს და ყველა სხვა იმ სამართლებრივ ზომას, რომელიც კოვიდ-19-ის საპასუხოდ არის მიღებული.⁷⁹

აღსანიშნავია, რომ COVID-19-ს სხვა ისტორიული ფორსმაჟორული მოვლენებისგან რამდენიმე ასპექტი განასხვავებს, თუმცა აღსანიშნავია ორი უმნიშვნელოვანესი ასპექტი პირველი და ყველაზე აშკარა არის მისი უზარმაზარი ეკონომიკური გავლენა მთელ მსოფლიოზე, ხოლო რაც შეეხება მეორე ასპექტს იგი წარმოადგენს ძლიერ საზოგადოებრივი ინტერესს, რომელიც COVID-19-თან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი ფორსმაჟორულ გარემოებებთან მიმართებით არსებობს.

COVID-19-ის აშკარა უარყოფითი ზემოქმედების გამო მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო იჩენს განსაკუთრებულ ინტერესს ფორსმაჟორული გარემოებების და მისი საკანონმდებლო რეგულირების მიმართ.⁸⁰ ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ გაზიარებულ იქნას სარეთაშორისო გამოცდილება. აქამდე მიღებულ „გერმანულ სასამართლო გადაწყვეტილებებში კოვიდ-პანდემია მიიჩნევა გარიგების საფუძვლის არსებით ცვლილებად გსკ-ის §313-ის პირველი ნაწილის გაგებით ეს იმდენად ეჭვგარეშეა, რომ არც არის მიჩნეული საჭიროდ საკითხის ზედმეტი კვლევა.“⁸¹

COVID-19-ის კონტექსტში, დელავერის ზოგიერთმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობაზე მითითება მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ვალდებული პირის ჯეროვან შესრულებას ხელს უშლის ხელისუფლების მიერ მიღებული ცალკეული ღონისძიებები⁸² შესაძლებელია, რომ სახეზე არ იყოს ცალკეული ღონისძიებები, თუმცა შესრულება მაინც არ იყოს გამართლებული. განვიხილოთ მარტივი მაგალითი. თუ ბავშვის აღმზრდელი ვერ მიდის სამუშაოდ, რადგან COVID-19-ის გამო საფრთხის შემცველია მისი და

⁷⁹ *Klaus Peter Berger., Daniel Behn., Force Majeure and Hardship in the Age of Corona: A Historical and Comparative Study, Volume 6 (2019-2020), McGill Journal of Dispute Resolution, Volume 6 (2019-2020), Number 4 Article p.91.*

⁸⁰ *King Fung Tsang., From Coronation to Coronavirus: Covid-19, Force Majeure and Private International Law, 44 Fordham Int'l L.J. 187 (2020) p. 189-191.*

⁸¹ *ჰაგენლოხი უ., კოვიდ-19-თან დაკავშირებული სამოქალაქო-სამართლებრივი საკითხები: ქართული სამართლებრივი ვითარების შეფასება გერმანული პერსპექტივიდან, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 3/2021, გვ.21.*

⁸² *Impossibility or Impracticability of Contractual Performance Caused by COVID-19 Under Delaware Law, ხელმისაწვდომია: <https://www.jdsupra.com/legalnews/impossibility-or-impracticability-of-38914/>*

ბავშვის ურთიერთობა, ამ შემთხვევაში გამართლებულია შესრულების შეუძლებლობის დოქტრინის გამოყენება, რადგან COVID-19-ის ფონზე მოსალოდნელზე საშიშია ბავშვისა და აღმზრდელის ურთიერთობა შესაბამისად, საბოლოოდ დგება რესტიტუციის საკითხი და აღმზრდელს მოუწევს წინასწარ გადახდილის უკან დაბრუნება.⁸³

აუცილებელია ყველა შემთხვევის ინდივიდუალურად შეფასება, გამომდინარე იქედან, რომ შესაძლოა რომელიმე კონკრეტული მოვლენა საზოგადოდ შეფასებული იყოს, როგორც დაუძლეველი ძალა, თუმცა ამ მოვლენამ კონკრეტულ სახელშეკრულებო ურთიერთობას, როგორც სპეციფიკურს არ შეუშალოს ხელი. ამ კუთხით უნდა გაანალიზდეს პანდემიის როლი თითოეულ სახელშეკრულებო ურთიერთობაზე, განსაკუთრებით კი უნდა გამოირკვეს გამოიწვია თუ არა პანდემიამ ამ უკანასკნელის რადიკალური ცვლილება. შესაძლებელია ვალდებული პირი დაეყრდნოს შესრულების შეუძლებლობის დოქტრინას, იმ საფუძველით, რომ COVID-19 შეუძლებელს ხდიდა ვალდებულების შესრულებისთვის აუცილებელი ადამიანური და ქონებრივი რესურსების მოძიებას, თუმცა გარემოებათა გამოკვლევამ აჩვენოს, რომ მხარემ დარჩენილი ხელმისაწვდომი რესურსი მხოლოდ სხვა ხელშეკრულებათა შესასრულებლად გამოიყენა რის შედეგადაც შეუძლებლობა სავარაუდოდ თვითონ გამოიწვია.⁸⁴

მნიშვნელოვანია, რომ COVID-19-ის კონტექსტში მხარეები არ უნდა დაეყრდნონ მხოლოდ პანდემიის, საგანგებო მდგომარეობის ან სხვა მოვლენების არსებობას, რათა მიუთითონ გადაულახავ გარემოებაზე. აღსანიშნავია, რომ მხარეს უფლება აქვს შეაჩეროს შესრულება მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ფორმაჟორულ გარემოებას და იგი მოქმედებს ვითარების გონივრული შემსუბუქების გარეშე. თუმცა ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ გარემოების შემსუბუქების თითოეული მცდელობა სამომავლო დავის შემთხვევაში მხარეებმა მტკიცებულებით უნდა გაამყარონ.⁸⁵ ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ხელშეკრულების მეორე მხარის ინფორმირების დამდასტურებელი წერილობითი განცხადებების არსებობა, რომელიც მეორე მხარეს ფორმაჟორული გარემოების

⁸³ *Andrew A. Schwartz.*, Contracts and COVID-19, Stanfrd Law Review Online, Volume 73, July 2020, p.52.

⁸⁴ *Matthew Nied., Andrew Hind*, How Frustrating: The doctrine of frustration in the age of COVID-19, The Advocate, Vol.78, Part Semptember 2020 p. 693-694.

⁸⁵ *Desmond D., Connall, Jr., Eben C. Hansel., Dina Bleckman., Nathan C. Farris* Force Majeure and COVID-19, Prepared by Ballard Spahr LLP, Updated March 23, 2020, p.4.

დაგდომიდან გონივრულ ვადაში გაეგზვნა და, რომელიც უნდა მოიცავდეს შესრულების შეუძლებლობის დამადასტურებელ შესაბამის მტკიცებულებებს, ფორსმაჟორული მოვლენის ზუსტ აღწერას, შეფერხების ან ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზებს.⁸⁶ შეტყობინების ვალდებულება განსაზღვრულია უნიდროას პრინციპებითაც, რომელიც დამატებით ადგენს, რომ თუ უფლებამოსილი პირი დაარღვევს შეტყობინების დროულად მიღების ვალდებულებას, მაშინ იგი პასუხს აგებს ასეთი მიუღებლობის შედეგად წარმოშობილ ზიანის ანაზღაურებაზე.⁸⁷

2.1.1 ფორს-მაჟორის დებულების ხელშეკრულებაში არსებობა, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების წინაპირობა კოვიდ-19 -ის მოქმედების დროს

სამართლებრივი ურთიერთობის შესაფებისას პრობლემას შეიძლება წავაწყდეთ მაშინ, როდესაც, მართალია, ხელშეკრულება არსებობს, თუმცა მასში არაფერია ნათქვამი ფორსმაჟორულ გარემოებებზე, ან მეორე შემთხვევა, როდესაც, მართალია, ხელშეკრულებით განსაზღვრულია ფორსმაჟორული გარემოებები, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი, თუმცა იგი არ მოიცავს პანდემიას. როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, იმისათვის, რომ მხარეებმა ყოველმხრივ დააზღვიონ სახელშეკრულებო რისკები, ხშირად ისინი იყენებენ ეგრედწოდებულ ყველაფრის მომცველ განმარტებებს (catch all phrases), თუმცა სასამართლო მათ ყოველთვის არ ითვალისწინებს და უფრო ემხრობა შემთხვევათა დაკონკრეტების პრაქტიკას. ინგლისისა და უელსის უმაღლესი სასამართლო ერთ-ერთ საქმეში განმარტავს, რომ სახელშეკრულებო დათქმა „სხვა ყველა შემთხვევა, რომელიც მოვალის კონტროლს მიღმა“ ვერ გაცდება იმ ფარგლებს, რომელსაც ფორსმაჟორი ითვალისწინებს და ვერ გახდება მოვალისათვის რისკის სფეროს განუზომლად შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი.⁸⁸ ნიუ-იორკის სასამართლოებმა catch-all დაუკავშირეს არაპროგნოზირებად მოვლენებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული არ მოიცავს ყველა არაპროგნოზირებად მოვლენას. მოვლენის

⁸⁶ European Financial Markets Lawyers Group, Force Majeure Clauses And Financial Markets In An Eu Context, November 2003 p.15.

⁸⁷ UNIDROIT PRINCIPLES OF INTERNATIONAL COMMERCIAL CONTRACTS 2016, Art. 7.1.

⁸⁸ England and Wales High court, Tandrin Aviation Holdings Ltd v Aero Toy Store LLC, Jul 6, 2010.

პროგნოზირებადობა შეფასებული უნდა იქნეს მკაცრი ტესტით.⁸⁹ ბევრი იურისდიქციაში მიიჩნევა, რომ catch all არ მოიცავს თითოეულ ფორსმაჟორულ გარემოებას, მაგალითად, როგორცაა ეკონომიკურ კრიზისი, რადგან ეს ბიზნესის განუყოფელ ნაწილადაა მიჩნეული.⁹⁰

როგორც წესი, შესაბამისი გამოცდილების მქონე მხარეებს, ხელშეკრულებაში ყოველთვის აქვთ ჩადებული ფორს-მაჟორის მუხლი, როგორც პასუხისმგებლობის ერთ-ერთი დამცავი ღონისძიება.⁹¹ თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მისი არარსებობისა, თუ კონკრეტული საქმიანობა შეზღუდულია ხელისუფლების მიერ დაწესებული რეგულაციები გამო, მაშინ მდგომარეობა შესაძლოა შეფასდეს მხარეებისგან დამოუკიდებელ, გადაულახავ მოვლენად. ამ კუთხით საყურადღებოა ლუიზიანას რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლომ მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით სამთავრობო რეგულაციები არ იყო განსაზღვრული, როგორც ერთ-ერთი ფორსმაჟორული გარემოება, კოვიდ-19 და მისი თანმდევი შედეგები მაინც გამოიყენა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლად.⁹²

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, უფრო მყარი დაცვის გარანტიები იარსებებს მაშინ თუ ხელშეკრულებაში ჩამოთვლილი იქნება ყველა შესაძლო მოვლენა და ასევე მითითებული იქნება შემზღუდველ ან/და ამკრძალავ ნორმატიულ აქტებზე, როგორც პასუხისმგებლობისგან გამომრიცხავ გარემოებაზე.

2.1.2 კოვიდ-19-ით გამოწვეული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ან/და გართულების დადასტურება და მისი მნიშვნელობა

"სამოქალაქო სამართალში მოქმედებს პრინციპი "affirmanti, non negati, incumbit probatio" - "მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც

⁸⁹ *Christian Leathley, Amal Bouchenaki, Ben Rubinstein: COVID-19: pressure points: contractual implications and considerations under new york law (united states, Legal Briefings –02 April 2020 | United States, p.3.*

⁹⁰ *Matt Peters., Janet Kwuon., Force Majeure One year later May 2021, 02 Reed Smith LLP p.6.*

⁹¹ *Court of Appeals of the State of New York, Kel Kim, 70 N.Y.2d at 902. Dec 21, 1987.*

⁹² *District Court, E.D. Louisiana, Richards Clearview, LLC v. Bed Bath & Beyond, Inc CIVIL ACTION NO. 20-1709 SECTION "L".*

უარყოფს”. ამ დებულებიდან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს, ვინ რა უნდა ამტკიცოს.”⁹³

მხარემ, რომელიც უთითებს ფორსმაჟორზე, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე ვალდებულია დაადასტუროს ხელშეკრულებით განსაზღვრული ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის ფაქტი და ასევე ის, რომ კონკრეტულად ამ მოვლენამ მოახდინა გავლენა ვალდებული პირის შესრულების უნარზე.⁹⁴ ფორსმაჟორული გარემოების დადასტურება შესაძლებელია რამდენიმე გზით, მაგალითად საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ შეიძლება გაიცეს ცნობა, რომლითაც დადასტურდება ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ სავაჭრო-სამრეწველო პალატა ამოწმებს მხოლოდ იმას, არსებობს თუ არა ფორს-მაჟორი და არ წყვეტს მხარის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საკითხს, რაც დავის შემთხვევაში სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს. ამ მიმართებით ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ გაცემული ცნობაც კი, რომელიც ადასტურებს ფორსმაჟორის არსებობას, ვერ იქნება პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი, ვინაიდან აღნიშნული მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება და ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე უნდა გადაწყდეს.⁹⁵ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ფორსმაჟორული გარემოების არსებობისა, ვალდებულმა პირმა უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა მაქსიმალურად აიცილოს თავიდან უფლებამოსილი პირისთვის ზიანის მიყენება. ხოლო თუ იგი არ მიიღებს ამგვარ ზომებს, მაშინ უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება იმ ოდენობით, რომლითაც ვალდებული პირის მოქმედებით ზიანი უნდა შემცირებულიყო.⁹⁶

საყოველთაოდ ცნობილია, რომ COVID-19 და მის წინააღმდეგ მიღებული რეგულაციები ითვლებოდა გადაულახავ გარემოებად, სწორედ ამიტომ მაგალითად, 2020 წლის იანვრიდან ჩინეთის ერთ-ერთმა უმსხვილესმა

⁹³ იხ. თბილისის სააკველაციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის განჩინება საქმეზე №28/102-13.

⁹⁴ *ndubuisi augustine nwafor.*, Comparative and Critical Analysis of the Doctrine of Exemption/Frustration/Force Majeure under the United Nations Convention on the Contract for International Sale of Goods, English Law and UNIDROIT Principles Scotland MARCH 2015, p.47.

⁹⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 5 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-418-391-2010.

⁹⁶ the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (Vienna, 1980) , Art.77.

საერთაშორისო ორგანომ (China Council for the Promotion of International) გასცა 5600-ზე მეტი სერტიფიკატი, რომლებიც კომპანიების სასარგებლოდ ადასტურებდა ფორს-მაჟორულ გარემოებას და Covid-19-ის საფუძველით ამართლებდა საერთაშორისო ხელშეკრულებების შეუსრულებლობას.⁹⁷

ჯერ-ჯერობით, საქართველოს უზენაეს სასამართლოს არ აქვს დადგენილი პრაქტიკა ამ თემასთან დაკავშირებით, მეტიც, მხოლოდ ორი ათეული გადაწყვეტილება იძებნება, სადაც სიტყვა „პანდემია“ არის ნახსენები. თუმცა, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მაინც ვხვდებით საინტერესო ჩანაწერს - “ რაც შეეხება პანდემიას, იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლით გათვალისწინებულ საყოველთაოდ ცნობილ გარემოებას წარმოადგენს და არ საჭიროებს მტკიცებას, თუმცა, ამ პანდემიის გავლენა კასატორის ქონებრივ მდგომარეობაზე იმგვარად, რომ მას შეუმცირდა შემოსავალი/მან დაკარგა შემოსავლის წყარო, არ არის დადასტურებული კონკრეტული მტკიცებულებით. მხოლოდ ის ფაქტი, რომ არსებობს პანდემია, ცალკე აღებული ვერ გახდება შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველი.” მართალია ეს წინადადება ეხება ბაჟისგან გათავისუფლების შუამდგომლობას, თუმცა მაინც იკვეთება ორი საინტერესო საკითხი - 1) პანდემია საყოველთაოდ ცნობილი გარემოებაა და არ საჭიროებს მტკიცებას. 2) აუცილებელია არსებობდეს მიზეზ-შედეგობრიობა პანდემიასა და დაკარგულ შემოსავლებს შორის, რათა დაკმაყოფილდეს შუამდგომლობა/მოთხოვნა. მხარეს უნდა შეეძლოს მყარი მტკიცებულების წარმოდგენა, რაც დაადასტურებს მის გადახდიუუნარობას პანდემიის გამო. მიუხედავად იმისა, რომ უზენაესი სასამართლო გარკვეულწილად პანდემიას როგორც საყოველთაო გარემოებას ისე აღიარებს იგი მაინც მსჯელობს ინდივიდუალური შემთხვევიდან გამომდინარე, ამ კუთხით აღსანიშნავია უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ერთი-ერთი გადაწყვეტილება სადაც მხარის რისკ-ჯგუფის კუთვნილების მოტივით მოითხოვნილი იქნა გასაჩივრების ვადის აღდგენა, ხოლო მიღებული გადაწყვეტილებით სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია მასზედ, რომ ქვეყანაში არსებული პანდემიის გამო, მან გადაადგილება ვერ მოახერხა და ჩათვალა, რომ პირის რისკ ჯგუფისადმი კუთვნილება არაფერს ცვლიდა მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის

⁹⁷ *Laura Maria Franciosi, L. M. (2020). The Effects of COVID-19 on International Contracts: A Comparative Overview. Victoria University of Wellington Law Review, 51(3) p. 433.*

გამოცხადებას კასატორის კანონიერი წარმომადგენელი ესწრებოდა.⁹⁸ ზემოაღნიშნული ორი გადაწყვეტილების ანალიზის შედეგად შესაძლოა მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო სასამართლოს ტენდენცია ამ კუთხით გარკვეულწილად უკვე აისახა რამდენიმე გადაწყვეტილებაში და იგი ძირითადად ყველა კონკრეტული შემთხვევის მკაცრად გამოკვლევასა და შეფასებაში გამოიხატება.

როგორც უკვე არაერთხელ აღნიშნა, თითოეული შემთხვევა უნდა შეფასდეს დამოუკიდებლად და მხოლოდ იმაზე მითითება, რომ ქვეყანაში არის საგანგებო მდგომარეობა და, შესაბამისად, იგი უნდა მოერგოს თითოეულ სამართლებრივ ურთიერთობას, არასწორია. ამ მიმართებით საინტერესოა თბილისის საქალაქო სასამართლოს უახლესი გადაწყვეტილება, სადაც მოსარჩელე მხარე ნასყიდობის საგნის მიუწოდებლობის მიზეზად ასახელებდა საკვები პროდუქტების დეფიციტურობას, ფასების ზრდასა და ქვეყანაში შექმნილ ზოგად ეკონომიკურ ვითარებას, თუმცა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მხოლოდ ზოგადი მითითება ბუნდოვანია და არ მიუთითებს დაუძლეველ გარემოებაზე, გარდა ამისა, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვის მიუხედავად არ აკრძალულა სურსათის მიწოდება, შესაბამისად სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ დაძლია მტკიცების ტვირთი დაუძლეველი ძალის არსებობასთან მიმართებით.⁹⁹

მნიშვნელოვანია, რომ ფორსმაჟორული გარემოების დადასტურების კონტექსტში დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი. COVID-19–სთვის ეს მოთხოვნა კი შესაძლოა ბუნდოვანი იყოს და გაურკვეველობა გამოიწვიოს, მაგალითად, თუ სახეზეა სამშენებლო ხელშეკრულება და ფუნქციონირებას წყვეტს მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო, ამ შემთხვევაში შემსრულებელი დროებით მაინც თავისუფლდება დაკისრებული ვალდებულებისგან, რადგან მას მისგან დამოუკიდებელი მიზეზით არ შეუძლია მიიღოს საჭირო ნებართვები

⁹⁸ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 24 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1225 -2020.

⁹⁹ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე საქმე №2/14839-20.

სამუშაოს გასაგრძელებლად.¹⁰⁰ შესაბამისად, სწორედ ეს გარემოება დაეხმარება მას იმის დამტკიცებაში თუ რატომ ვერ შეძლო ვალდებულების შესრულება.

დადასტურებათან მიმართებით აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ეხებოდა სადაზღვევო რისკის ანაზღაურების შემთხვევას. მოსარჩელის განმარტებით მას ზიანი მიადგა კოვიდ-19-ის წინააღმდეგ მიღებული რეგულაციების შედეგად, აღსანიშნავია, რომ სადაზღვევო პოლისში აღნიშნული იყო „პირდაპირი ფიზიკური დანაკარგი ან ზარალი“, თუმცა სასამართლოს განმარტებით მოსარჩელემ ვერ წარადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ რესტორანი იყო დაკეტილი ან არსებითად გამოუსადეგარი. სასამართლოს განმარტებით მოსარჩელემ მხოლოდ იმისი დამტკიცება შეძლო, რომ მთავრობამ იგი აიძულა დაეხურა რესტორნის სივრცე, რათა შეემცირებინა COVID-19-ის გავრცელება. თუმცა სასამართლოს განმარტებით მთავრობამ მოსარჩელეს ნება დართო, რომ მას მიწოდების სერვისზე ემუშავა.¹⁰¹

2.1.3 Covid-19-ის წინასწარ განჭვრეტადობა, როგორც პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ფაქტორი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისას.

აღსანიშნავია, რომ შორსმჭვრეტელობა ნებისმიერი ბიზნეს ურთიერთობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.¹⁰² შეუძლებელია შევაფასოთ მოვლენა, როგორც განჭვრეტადი თუ ჩვეულებრივ სადად მოაზრვონე ადამიანს მისი წინასწარ განჭვრეტა არ შეეძლო.¹⁰³ აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი სახელშკრულებო ურთიერთობა არის რისკის შემცველი. იმის დასადგენად თუ რომელი მხარეა უმეტესი რისკის მატარებელი განხილული უნდა იქნეს შემდეგი კრიტერიუმები (1) რისკის ცოდნა, (2) რისკის შესაძლო სიდიდე, (3) ალბათობა იმისა თუ რა მატერიალური ზარალის მოტანა შეეძლო რისკს (4) რისკის შემცირების შესაძლებლობა, შესაბამისად, თვითდაზღვევის, სადაზღვევო პოლისის ან სხვა საშუალებით დაცვითი ღონისძიებების დივერსიფიკაცია.

¹⁰⁰ *Desmond D., Connall, Jr., Eben C. Hansel., Dina Bleckman., Nathan C. Farris* Force Majeure and COVID-19, Prepared by Ballard Spahr LLP, Updated March 23, 2020, p.3.

¹⁰¹ United States District Court for the Southern District of Florida, *Malaube, LLC v. Greenwich Ins. Co.* August 26, 2020, Decided; August 26, 2020.

¹⁰² *ndubuisi augustine nwafor.*, Comparative and Critical Analysis of the Doctrine of Exemption/Frustration/Force Majeure under the United Nations Convention on the Contract for International Sale of Goods, English Law and UNIDROIT Principles Scotland MARCH 2015, p.37.

¹⁰³ *Ewan McKendrick.*, Contract Law, Twelfth edition, Palgrave Law Masters, p.345.

როგორც წესი, უმეტესად რისკის მატარებელი არის მოვალე. რადგან ის ხელშეკრულების მეორე მხარესთან შედარებით ჩვეულებრივ უკეთეს მდგომარეობაშია გააცნობიეროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების რისკები.¹⁰⁴ თუმცა, ხშირად ადგილი აქვს ისეთ მოვლენას, რომლის განსაზღვრა ნებისმიერი ადამიანის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობის მიღმა დგას და, შესაბამისად, შეუძლებელია ყოველგვარი რისკის წინასწარ გათვლაც.¹⁰⁵ ამ კუთხით უმნიშვნელოვანესია სასამართლოს როლი. იგი, პირველ რიგში, არკვევს იყო თუ არა მოვლენა პროგნოზირებადი იმ დროისთვის როდესაც ხელშეკრულება დაიდო. აღნიშნული გამომდინარეობს იმ თეორიიდან, რომ მხარე მხარე არ უნდა დაიცვას მის მიერ პროგნოზირებადმა მოვლენამ.¹⁰⁶

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად არაპროგნოზირებადობისა, მოვალემ წინასწარ უნდა მიიღოს ყველა გონივრული ზომა რათა მოვლენამ არ გამოიღოს მძიმე შედეგები უფლებამოსილი პირის მიმართ. თუმცა შესაძლოა, რომ მოვლენის დადგომა მაინც იყოს გარდუვალი. არის თუ არა მოვლენა "გარდაუვალი", დამოკიდებულია კონკრეტული მოვლენის ანალიზზე.¹⁰⁷

კოვიდ-19-ის კონტექსტში, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია განისაზღვროს იყო თუ არა კოვიდ პანდემია პროგნოზირებადი, ეპიდემიებს და პანდემიებს ადრეც ჰქონია ადგილი. ბოლო დროის ერთ-ერთ უმძიმეს პანდემიად დასახელებულია ესპანური გრიპი, რომელიც 1918-1919 წლებში მძვინვარებდა და საბოლოოდ 50 მილიონი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.¹⁰⁸ მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ მიზეზით მხარეებმა წინასწარ უნდა გაითვალისწინონ მსგავსი ხასიათი მასშტაბური პანდემია და არც იმას, რომ თუ მომავალში ისევ ექნება ადგილი მსგავს მოვლენას შესრულების შეუძლებლობის დოქტრინა ამ საფუძვლით ვერ იქნება გამოყენებული.¹⁰⁹ თუმცა, შესაძლოა მსგავსი გლობალური პანდემიის შემდეგ მომავალში გართულდეს მხარის მიერ შესრულების შეუძლებლობაზე

¹⁰⁴ *Jennifer Camero.*, Mission Impracticable: The Impossibility of Commercial Impracticability, 13 U.N.H. L. REV. volume 13, article 2, 1 (2015) p.21.

¹⁰⁵ *Ewan McKendrick.*, Contract Law, Twelfth edition, Palgrave Law Masters, p.345.

¹⁰⁶ *Jennifer Camero.*, Mission Impracticable: The Impossibility of Commercial Impracticability, 13 U.N.H. L. REV. volume 13, article 2, 1 (2015) p.13.

¹⁰⁷ European Financial Markets Lawyers Group, Force Majeure Clauses And Financial Markets In An Eu Context, November 2003, p.15.

¹⁰⁸ *Jeffery K. Taubenberger.*, *David M. Morens* 1918 Influenza: the Mother of All Pandemics, p.16.

¹⁰⁹ *Matt Peters.*, *Janet Kwuon.*, Force Majeure One year later May 2021, 02 Reed Smith LLP p.19.

მითითების შესაძლებლობა, ამიტომ ხელშეკრულების მხარეებმა ხელშეკრულებაში ძალიან დეტალურად უნდა განსაზღვრონ ყველა შესაძლო ფორსმაჟორული გარემოება. ზემოხსენებული ეფუძნება იმ პრინციპს, რომ თუკი გარკვეულ სახელშეკრულებო დებულებას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშემკვრელი მხარისთვის, მაშინ სწორედ მას ევალება შეადგინოს ხელშეკრულება ისე, რომ იგი ერთმნიშვნელოვნად ასახავდეს მისთვის სასურველ თითოეულ დებულებას.¹¹⁰

უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი განმარტების თანახმად, დაზარალებულმა მხარემ უნდა ამტკიცოს, რომ სწორედ ამ გაუთვალისწინებელი მოვლენის დადგომამ გახადა ვალდებულების შესრულება უკიდურესად მძიმე. ხელშეკრულება კი იმ ვარაუდით დაიდო, რომ მსგავსი მოვლენა არ დადგებოდა და ვალდებულ პირს არ ჰქონდა გათვალისწინებული ზემოხსენებული მოვლენის დადგომის რისკი.¹¹¹ ამ გადაწყვეტილებიდან გარკვეულწილად იკვეთება საქართველოს საერთო სასამართლოების მიდგომა მოვლენის პროგნოზირებადობასთან დაკავშირებით.

პანდემიის ფონზე, პროგნოზირების ტესტის სხვადასხვა ჭრილში განხილვამ შესაძლოა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიგვიყვანოს განსხვავებულ შედეგამდე. მაგალითად, პროგნოზირების ტესტზე დაყრდნობით სასამართლომ შეიძლება დაადგინოს, რომ შეერთებულ შტატებში ბიზნესის დახურვა იყო განჭვრეტადი, იმის გათვალისწინებით, რომ თავდაპირველად დაავადების გავრცელება დაიწყო ჩინეთში, იტალიასა და ირანში. "ძირითადი ვარაუდის" ტესტის საფუძველზე, მოსალოდნელია, რომ სასამართლო მივა განსხვავებულ დასკვნამდე, რადგან მთავრობის მიერ შემზღუდველი ღონისძიებების არარსებობა შესაძლოა მიჩნეულ იქნას ხელშეკრულების დადების ძირითად ვარაუდად.¹¹²

ამ საკითხთან მიმართებით საინტერესოა მიონხენგლადბახის სამხარეო სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც განიმარტა, რომ „მხარეებს არ შეუძლიათ იმის პროგნოზირება, თუ რა ზომებს მიიღებს სახელმწიფო ყველასათვის

¹¹⁰ US District Court for the Southern District of Florida, ARHC NVWELFL01, LLC v. Chatsworth At Wellington Green, LLC, 9:2018cv80712, June 1, 2018.

¹¹¹იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-7-6-2010.

¹¹² *Desmond D., Connall, Jr., Eben C. Hansel., Dina Bleckman., Nathan C. Farris* Force Majeure and COVID-19, Prepared by Ballard Spahr LLP, Updated March 23, 2020, p.5.

წარმოუდგენელი მასშტაბების პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში, შესაბამისად, ეს ქმედებები არც სახელშეკრულებო რისკების ქვეშაა მოქცეული და მოაზრებული. სწორედ ასეთი ვითარებისა და ზომების არარსებობა დაედო საფუძვლად მხარეთა გარიგებას. მხარეებს პანდემიიდან გამომდინარე რისკები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ ამ რისკების თანაბარი (და არა სანაძლეოს მსგავსად გამართლებაზე დამოკიდებული) გადანაწილება იქნებოდა სწორედ გონივრული...¹¹³

წინასწარ პროგნოზირება განსაკუთრებით აქტუალურია კომერციულ იჯარებთან დაკავშირებით რადგან ეპიდემიის პროგნოზირება გონივრულად მოსალოდნელი იყო იმ საიჯარო ურთიერთობის მონაწილეებისთვის, რომლებმაც იჯარის ხელშეკრულება 2020 წლის თებერვლის თვის ბოლოდან დადეს.¹¹⁴ სწორი იქნება თუ იგივე სტანდარტს გავავრცელებთ სხვა ხელშეკრულებებზეც.

3. ვალდებულების შესრულების გართულება და მისი მიმართება კოვიდ-19-თან

აღსანიშნავია, რომ შესრულების გართულების ცნებამ კოვიდ-19-ის კონტექტში ძალიან დიდი მნიშვნელობა შეიძინა, გამომდინარე იქედან, რომ არსებობს სპეციალური სახელშეკრულებო ურთიერთობები (იჯარა, ქირავნობა და სხვ.) რომელზეც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მსოფლიოში არსებულმა მდგომარეობამ და გააჩინა ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგების აუცილებლობა.

ხელშეკრულებებში ხშირად ვხვდებით შესრულების გართულების დებულებას (hardship clause) ზოგადად, ასეთი პუნქტით განისაზღვრება, თუ რა წარმოადგენს გართულებას და დადგენილია ის პროცედურა, რომელიც უნდა მიიღოს ორივე მხარემ ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით.

ორივე, როგორც ფორს-მაჟორი ისე შესრულების გართულების დოქტრინა ემყარება სხვადასხვა საფუძველს - ერთი შეუძლებლობის, მეორე შეცვლილ ვითარებას - და უმეტეს შემთხვევაში სწორედ ამ უკანასკნელს აქვს ადგილი. როდესაც ხელშეკრულება განსაზღვრავს როგორც ფორსმაჟორულ გარემოებას

¹¹³ *ჰაგენლოხი უ.*, კოვიდ-19-თან დაკავშირებული სამოქალაქო-სამართლებრივი საკითხები: ქართული სამართლებრივი ვითარების შეფასება გერმანული პერსპექტივიდან, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 3/2021, გვ.23. იხ.ციტირება: ქ. მიონხენგლადბახის სამხარეო სასამართლოს გადაწყვეტილება (LG Mönchengladbach) გადაწყვეტილება 02.11.2020 - 12 O 154/20 - juris. 2.

¹¹⁴ *Mayer Brown.*, COVID-19 impact on commercial leases, May 2020,p.3.

ისე შესრულების გართულების დებულებებს, გაურკვეველი და ბუნდოვანი ხდება მათი ურთიერთმიმართება და ის თუ კონკრეტულად რომელმა მათგანმა უნდა გაამართლოს დამაბრკოლებელი ვითარება, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ორივე მათგან აქვს საერთო მიზანი.¹¹⁵

თუკი გარემოებების ცვლილებისას ხელშეკრულების შესრულება ზედმეტ ტვირთად აწვება ვალდებულ პირს მაშინ მხარეებმა უნდა დაიწყონ მოლაპარაკებები, რათა მოახდინონ ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგება ან მისი შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ (ა) გარემოებების ცვლილება გონივრულად ვერ იქნებოდა მხარეებისთვის ცნობილი და (ბ) გარემოებათა შეცვლის შესაძლებლობა გამოიწვია ისეთმა ვითარებამ, რომელიც არ იკვეთებოდა ხელშეკრულების დადებისას.¹¹⁶

შესრულების გართულების საფუძველი შესაძლოა იყოს ეკონომიკური ან ფინანსური კრიზისი, სწორედ ამიტომ ძნელია შესრულების გართულების ფორს-მაჟორად კვალიფიკაცია და მისთვის იმავე ხარისხის მინიჭება.¹¹⁷ მნიშვნელოვანია, რომ ვალდებულების შესრულების გართულების ნორმა წინასწარ უნდა განჭვრეტდეს ყველა სიტუაციისთვის გამკლავების შესაძლებლობას, აღნიშნული კი განსაკუთრებით აქტუალურია მაშინ, როდესაც მოულოდნელი მოვლენები მთლიანად ცვლიან ხელშეკრულებას, განსაკუთრებით კი ცვლილება გამოიხატება შეუსაბამო ხარჯებში. აღნიშნული გარემოება შესაძლებელია იყოს მთლიანი ხელშეკრულების გადახედვის წინაპირობა.¹¹⁸

ვალდებულების შესრულების გართულების შესაფასებლად, პირველ რიგში, გადაამწყვეტია გართულების მასშტაბის განსაზღვრა. აღნიშნულთან მიმართებით ჩნდება რამდენიმე შეკითხვა. რამდენად მძიმეა ვალდებულების შესრულება

¹¹⁵ *Klaus Peter Berger., Daniel Behn., Force Majeure and Hardship in the Age of Corona: A Historical and Comparative Study, Volume 6 (2019-2020), McGill Journal of Dispute Resolution, Volume 6 (2019-2020), Number 4 Article, p. 88.*

¹¹⁶ *Ole Lando., Some Features of the Law of Contract in the Third Millennium, Stockholm Institute for Scandianvian Law, 1957-2009 p.394.*

¹¹⁷ *ndubuisi augustine nwafor., Comparative and Critical Analysis of the Doctrine of Exemption/Frustration/Force Majeure under the United Nations Convention on the Contract for International Sale of Goods, English Law and UNIDROIT Principles Scotland MARCH 2015, p. 185.*

¹¹⁸ *Dionysios P. Flamouras., The Doctrines of Impossibility of Performance and Clausula Rebus SIC Stantibus in the 1980 Convention on Contracts for the International Sale of Goods and the Principles of European Contract Law A Comparative Analysis, Pace international Law Review, volume 13, issue2 fall 2001, p.23.*

შეცვლილ ვითარებაში? როდის მოხდა ხელშეკრულების წონასწორობის ძირეული შეცვლა? ამ უკანასკნელში მოიაზრება შესრულების ღირებულების, როგორც ზრდა, ისე შემცირება.¹¹⁹

გერმანიაში, საფრანგეთში, ავსტრიაში, იტალიაში, პოლონეთსა და სხვა ევროპულ ქვეყნებში შესრულების შეუძლებლობის დოქტრინა გამყარებულია, როგორც მოქმედი შიდა კანონმდებლობით, ისე სასამართლო პრაქტიკით. საერთო სამართლის (common law) სამყაროში, შესრულების გართულების დოქტრინა არ არის მიღებული.¹²⁰ მართალია, ინგლისურ სამართალში გარკვეულწილად აღიარებულია შესრულების შეუძლებლობის დოქტრინა, მაგრამ იგი გაცილებით შეზღუდულია, ვიდრე სხვა საერთო სამართლის იურისდიქციებში არსებული. ხელშეკრულების საფუძვლის რღვევას ინგლისურ სამართალში შეიძლება ამართლებდეს საქმიანობას უკიდურესი ეკონომიკური ზიანი მიყენების საფრთხის შემთხვევა, მაგრამ ინგლისის სასამართლოები არ ცვლიან ხელშეკრულების პირობებს შეცვლილი გარემოებების შესაბამისად. ეს მკაცრი მიდგომა სამართლიანადაა გაკრიტიკებული, რადგან იგი ეკონომიკურად გაუმართლებელია. შესრულების გართულების დოქტრინის მოქმედება ინგლისის მსგავსად აშშ-იც ძალზე შეზღუდულია.¹²¹

უნიდროას პრინციპების თანახმად შესრულების გართულებასთან საქმე გვაქვს მაშინ როდესაც განვითარებული მოვლენები ძირეულად ცვლის ხელშეკრულების წონასწორობას. უნიდროას პრინციპები ასევე განსაზღვრას შესრულების გართულების წინაპირობებს, რომელთაგან უმრავლესობა მოულოდნელობისა და არაგონივრულობის ფაქტორს უკავშირდება.

გერმანიაში შესრულების გართულების დოქტრინა, რომელიც ძირითადად პრეცედენტულ სამართალში იყო შემუშავებული, ზნეობრივად დასაბუთებულობით გამოირჩეოდა, მაგრამ მასში აგრეთვე წარმოდგენილი იყო შეცვლილი გარემოებების საკანონმდებლო დოქტრინის კიდევ ერთი კომპონენტი: "ბიზნესის საფუძვლის დაკარგვა" Wegfall der Geschdftsgrundlage

¹¹⁹ *King Fung Tsang.*, From Coronation to Coronavirus: Covid-19, Force Majeure and Private International Law, 44 Fordham Int'l L.J. 187 (2020) p.189-191

¹²⁰ *Klaus Peter Berger., Daniel Behn.*, Force Majeure and Hardship in the Age of Corona: A Historical and Comparative Study, Volume 6 (2019-2020), McGill Journal of Dispute Resolution, Volume 6 (2019-2020), Number 4 Article, p.109-115.

¹²¹ *Klaus Peter Berger., Daniel Behn.*, Force Majeure and Hardship in the Age of Corona: A Historical and Comparative Study, Volume 6 (2019-2020), McGill Journal of Dispute Resolution, Volume 6 (2019-2020), Number 4 Article, p.116.

დოქტრინის თანახმად, ყველა ხელშეკრულება ეფუძნება მხარეებს შორის შეთანხმებულ ზოგად საფუძვლებს, მიუხედავად იმისა გაწერილია თუ არა კონკრეტული დებულებები. ეს ნაგულისხმევი პირობები ეხება იმ ზოგადი საფუძვლების შენარჩუნებას, რომლებზეც ემყარება სახელშეკრულებო ურთიერთობა თუ იგი ძირეულად იცვლება მხარეებს უნდა მიეცეთ ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის უფლება. კოვიდ-19-ის კონტექსტში შესაძლოა სწორედ ამ გარემოებებთან გვექონდეს საქმე.¹²²

სასამართლო პრაქტიკაში განვითარებული ორტმანის თეორია მოდერნიზების აქტით განმტკიცდა გსკ-ს ახალ, 313-ე პარაგრაფში, როგორც „გარიგების საფუძვლის რღვევა“ („Störung der Geschäftsgrundlage“) აღნიშნული დოქტრინა წარმოადგენს შესრულების გართულების უზოგადესი კონცეფციის გერმანულ შესატყვისს.¹²³ ახალი ნორმატიული დებულებით მისი შინაარსი გულისხმობს სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლის შემდეგ აღმოცენებულ ცვლილებას, რომელიც იწვევს ხელშეკრულების უკიდურეს გართულებას და, შესაბამისად, სახელშეკრულებო ვალდებულებების წონასწორობისა და ეკვივალენტურობის რღვევას.¹²⁴

შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ ადგილი აქვს ხელშეკრულების შესრულების უკიდურეს გართულებას, შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილ გარემოებებთან. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მოლაპარაკებების შესახებ მოთხოვნა უნდა გაკეთდეს რაც შეიძლება სწრაფად მას შემდეგ, რაც ადგილი აქვს შესრულების გართულებას.¹²⁵ უმეტესწილად Covid-19-მა შესრულების გართულების პრობლემა წარმოაჩინა და აქვე დადგა მიზეზობრივი კავშირის განსაზღვრის საკითხი, ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირი მიზეზობრივი კავშირის კრეტერიუმის მკაცრად განსაზღვრა არ იქნება სამართლიანი, მისადაგების შესაძლებლობა მხარეს უნდა მიეცეს მაშინაც, როდესაც სახეზეა ირიბი მიზეზ-შედეგობრიობა, მაგალითად, პირს, რომელსაც

¹²² Weller et al, supra note 4 at 1021; Wagner et al, supra note 71 at 846.

¹²³ ჩანტლაძე რ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი N4 (60) '18, 2018 წ, გვ. 40.

¹²⁴ ჩანტლაძე რ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი N4 (60) '18, 2018 წ, გვ.45.

¹²⁵ International Institute for the Unification of Private Law Unidroit Principles Of International Commercial Contracts, Published by the International Institute for the Unification of Private Law Rome, 2016, p.224.

შემზღუდავი რეგულაციები პირდაპირ არ შეხება, თუმცა რეგულაციები შეეხო მის მოიჯარეს, რომლისგანაც ის ერთადერთ შემოსავლის წყაროს იღებდა.

4. ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილ გარემოებებთან

4.1. შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგების მნიშვნელობა

გერმანული ომის შემდგომმა გამოცდილებამ აუცილებელი გახადა „*clausula rebus sic stantibus*“ პრინციპის სამართალში შეზღუდულად აღიარება იმგვარად, რომ ეკონომიკური კრიზისის გათვალისწინებით მხარეებს ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგების უფლების მიეცათ.¹²⁶ შეცვლილი გარემოებები ვალდებული პირისთვის იმ დონემდე ართულებს შესრულებას, რომ თუნდაც მეორე მხარის გამართლებული საფუძვლის არსებობისას, შესრულების მოთხოვნა ეწინააღმდეგება სიკეთეების სამართლიანი გაცვლის და ასევე კეთილსინდისიერების მოთხოვნებს.¹²⁷ აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც საქმე ეხება გრძელვადიან ხელშეკრულებას, თანამშრომლობის იდეა ბევრად უფრო განვითარებული და მისაღებია ვიდრე ურთიერთობის შეწყვეტის.¹²⁸ ხელშეკრულების მისადაგება, როგორც წესი, გამოიყენება გრძელვადიან ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობებში, შეცვლილი გარემოებით გამოწვეულ მხარეთა „ეკონომიკურ ინტერესებს შორის წონასწორობის რღვევისას“.

129

ევროპული სახელშეკრულებო პრინციპების,¹³⁰ და უნიდროას სახელშეკრულებო პრინციპების¹³¹ კრედიტორისთვის გონივრულ ვადაში მოვალის მიერ შეტყობინების ვალდებულებას დაბრკოლების, მისი ხარისხის, ხანგრძლივობისა

¹²⁶ *ქავშაია ნ.*, ფულადი ვალდებულებისგან გათავისუფლება ან ხელშეკრულების მისადაგება პანდემიისას, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 3/2020, გვ. 79.

¹²⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 24 ოქტომბრის განჩინებაზე საქმეზე №ას-1096-1053-2016.

¹²⁸ COVID-19- Consumer Law Research Group, Consumer Law and Policy Relating to Change of Circumstances Due to the COVID-19 Pandemic, Journal of Consumer Policy (2020), p.440.

¹²⁹ *ჩიტაშვილი ნ.*, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება როგორც ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, სამართლის ჟურნალი N1, 2014, გვ. 209.

¹³⁰ The Principles of European Contract Law (PECL), 8:108.

¹³¹ UNIDROIT PRINCIPLES OF INTERNATIONAL COMMERCIAL CONTRACTS, 2016, 7.1.7.

და შესაძლო შედეგების შესახებ. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება, რომლის თანახმად მიუხედავად სსკ-ს 398-ე მუხლში ჩანაწერის არარსებობისა, რაც უკავშირდება შეცვლილ გარემოებებთან დაკავშირებით მეორე მხარისთვის შეტყობინების გაგზავნას, იგი ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ, შეცვლილი გარემოებების დადგომისთანავე.¹³²

ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგება საქართველოში მოწესრიგებულია სსკ-ს 398-ე მუხლით ხოლო გერმანიაში- გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 313-ე პარაგრაფით, რომლის პირველ ნაწილში შესაძლოა მოექცეს კომერციული შეუძლებლობის შემთხვევა და, რომელიც აღნიშნავს მოვალისთვის კომერციული თვალსაზრისით მიუღებელ მდგომარეობას.¹³³

მხარეებს შეუძლიათ, რომ პირადი მოლაპარაკების რეჟიმში მივიდნენ გარკვეულ შეთანხმებამდე, თუმცა გავრცელებული მოსაზრების თანახმად მხარეთა შორის მოლაპარაკების წარმოება არ არის სასამართლოსადმი მიმართვის აუცილებელი წინაპირობა. სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე ხელშეკრულების ერთ მხარეს მეორე მხარემ შესაძლოა გარკვეული შეღავათი დაუწესოს და გადაუვადოს, შეუმციროს, განუწილვადოს შესასრულებელი ვალდებულება. იმ შემთხვევაში თუ მხარეები ვერ მივლენ გარკვეულ შეთანხმებამდე მაშინ შესაძლებელია, რომ სასამართლოს გზით გადაწყდეს ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგების შესაძლებლობა და მასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები.¹³⁴

ერთის მხრივ ინგლისურ და ფრანგულ და მეორე მხრივ, გერმანულ სამართლებრივ სისტემებს შორის ერთ-ერთი მთავარი განსხვავებაა ის არის, რომ ხელშეკრულების საფუძვლის რღვევისას ხელშეკრულება ყოველთვის იშლება, ხოლო გერმანული სამართლებრივი სისტემისთვის „Pacta sunt servanda“- ს პრინციპი ნებისმიერ შემთხვევაში რჩება მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობების რეგულირების მთავარ ეტალონად, შესაბამისად ხელშეკრულების მისადაგება ამ სისტემისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. გერმანიის სასამართლოები ხელშეკრულების შეცვლას მხოლოდ

¹³²იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-7-6-2010.

¹³³ი. კროპოლერი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გამამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2014, 313-ე პარაგრაფი, ველი 3.

¹³⁴ი. კროპოლერი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გამამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2014, 313 პარაგრაფი, ველი 6.

ჭემმარიტად განსაკუთრებულ გარემოებებში და ყველა შესაბამისი გარემოების საფუძვლიანი შეფასების შემდეგ მიმართავენ.¹³⁵

საგულისხმოა ისიც, რომ გარემოებათა მისადაგებისთვის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს მოულოდნელობა, რომელშიც არ მოიაზრება დასაშვებობა, რადგან ამ მხრივ ობიექტურად გარემოებათა ცვლილება არის ყოველთვის მოსალოდნელი.¹³⁶

მისადაგების აუცილებლობა ყოველთვის არ დგას დღის წესრიგში იქედან გამომდინარე, რომ შესაძლებელია მხარეთა არსებულ მდგომარეობაში ყოფნა არ ხელყოფდეს ერთი ან/და მეორე მხარის ინტერესებს. მაგ., დაინტერესებული პირი ვერ იტყვის უარს საქონლის მიღებაზე მხოლოდ იმიტომ, რომ საქმიანობა გაუმართლებელი აღმოჩნდა და მან ამის გამო გადაწყვიტა მისი საერთოდ.¹³⁷

სასამართლოს მეშვეობით ხელშეკრულების მისადაგებისას მნიშვნელოვანია შეფასდეს საბოლოო შედეგის სამართლანობა, ასევე ზედმიწევნით უნდა იყოს გაანალიზებული ხომ არ იწვევს არსებულ მდგომარეობაში ხელშეკრულების შესრულება ან სახელშეკრულებო ურთიერთობაში დარჩენა რომელიმე მხარისთვის ცალსახად უსამართლო ან კაბალურ შედეგს.¹³⁸

4.2. ახალ პირობებზე შეთანხმება

გერმანული კონცეფციის ”გარიგების საფუძვლის ჩაშლის” ჩვეულებრივი სამართლებრივი შედეგი არა ხელშეკრულების შეწყვეტაა, არამედ მისი ადაპტირება ახალ ვითარებასთან¹³⁹, სწორედ ამ მიზნით ახდენენ მხარეების ახალ პირობებზე შეთანხმებას, რომელიც გარკვეული სტანდარტის დაცვით უნდა განხორციელდეს.

¹³⁵ *Egidijus Baranauskas., Paulius Zapolskis., The effect of change in circumstances on the performance of contract*, Mykolas Romeris University, Faculty of Law, Department of Business Law Ateities 20, LT-08303 Vilnius, Lithuania, 2009, p.10-11.

¹³⁶ *ვაშაკიძე გ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, 398 მუხლი, ველი 12.

¹³⁷ *ვაშაკიძე გ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, 398 მუხლი, ველი 14-15, იხ.ციტირება: OLG Stuttgart NJW 1954, 233; BGHZ 17, 317, 327 = NJW 1955, 1187.

¹³⁸ იქვე, ველი 11.

¹³⁹ In N. Horn (Hrsg.), *Adaptation and Renegotiation of Contracts in International Trade and Finance*, Studies in Transnational Economic (Law vol. 3), 1985, S. 15–29, *Changes in Circumstances and the Revision of Contracts in Some European Laws and in International Law*, p.643.

„ახალი სახელშეკრულებო პირობების შემუშავებისას (რომლითაც შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება ხდება), გათვალისწინებულ უნდა იქნეს ორივე მხარის ყველა ის ინტერესი, რომელიც მათ გააჩნდათ ხელშეკრულების დადებისას. აღნიშნული გულისხმობს, იმ ინტერესის გათვალისწინებასაც, რაც კრედიტორს ხელშეკრულების მიმართ აქვს (მოგება, სარგებელი და სხვა),“¹⁴⁰ მაგ გერმანიაში მაშინაც კი, როდესაც კანონი თავად სასამართლოს აძლევს უფლებას შეცვალოს ხელშეკრულება, მან მაინც უნდა დაიცვას ორი უმნიშვნელოვანესი სტანდარტი 1) სასამართლოს ვალდებულებაა გადაწყვეტილება მიიღოს მხოლოდ კანონის საფუძველზე და არ შეადგინოს მხარეთა თანამშრომლობის ზოგადი გეგმა. 2) მხარეთა სამომავლო თანამშრომლობის დაგეგმვის მცდელობაში, სასამართლო არსებითად ვერ გაითვალისწინებს ყველა ფაქტორს, როგორც ამას გააკეთებენ მხარეები ხელშეკრულების მიზნიდან გამომდინარე.¹⁴¹

მისადაგებისას გათვალისწინებული უნდა იყოს დროის ხანგრძლივობაც, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში გარემოებების ცვლილება ხდება თანდათან და არ არის დაკავშირებული გარკვეული დროის გავლასთან, სწორედ ამ მიზნით მიიჩნია საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი თანმდევი შედეგები შეცვლილი გარემოებების შეფასებისას განგრძობად მოვლენად.¹⁴² იგივე მიდგომა შეგვიძლია განავითაროთ კოვიდ 19-ით გამოწვეულ ეკონომიკურ ვითარებასთან მიმართებით, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პანდემია დღესაც გრძელდება და იგი ძალიან უარყოფითად მოქმედებს მსოფლიოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე, შესაბამისად თუ მხარეებს შორის მოხდება ახალ გარემოებებზე მოლაპარაკება გათვალისწინებული უნდა იყოს თითოეული მხარის საქმიანობის სპეციფიკა, მათი სახელშეკრულებო ურთიერთობის შინაარსი და დაზღვეული უნდა იყოს აბსოლუტურად ყველა რისკი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმება იყოს ცხადი და თითოეულმა მხარემ თავიდანვე იცოდეს თუ რისი მიღება შეუძლია მას

¹⁴⁰ იხ. თბილისის სააკელაციო სასამართლოს 2018 წლის 20 თებერვალის განჩინება საქმეზე №28/3965-15.

¹⁴¹ In N. Horn (Hrsg.), *Adaptation and Renegotiation of Contracts in International Trade and Finance*, Studies in Transnational Economic (Law vol. 3), 1985, S. 15–29, *Changes in Circumstances and the Revision of Contracts in Some European Laws and in International Law*, p. 645.

¹⁴² იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-7-6-2010.

ხელშეკრულებიდან და ზუსტად ჰქონდეს გააზრებული მისგან გამომდინარე შედეგები.¹⁴³

გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ფორსმაჟორის მუხლის გადახედვა და შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით თითქმის ყველა სცენარის ამ უკანასკნელში ასახვა.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს მიერ ხელშეკრულების მისადაგებისას უნდა იქნეს გააზრებული თითოეული მხარის პოზიცია, შექმნილი ვითარება და მხოლოდ ამის შემდგომ უნდა იქნეს გადაწყვეტილება მიღებული.

IV. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ცალკეული ნორმების თავისებურებები კოვიდ -19-ით გამოწვეულ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობასა და უფლების განხორციელებასთან მიმართებით

1. სოლიდარული ვალდებულების არსი და მისი თავისებურება შესრულების შეუძლებლობისას

უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს სოლიდარული ვალდებულების არსი. აღნიშნული ურთიერთობიდან გამომდინარე, თითოეული სოლიდარული მოვალე კრედიტორის ერთი და იმავე შესრულების ინტერესის მთლიან დაკმაყოფილებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. მოვალეთა ეს ცალკეული ვალდებულებები, სწორედ ერთი საერთო მიზნით არიან დაკავშირებულნი და ქმნიან ერთ მთლიანობას. ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება, ნიშნავს მთლიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის დასრულებასა და კრედიტორის ერთიანი ინტერესის დაკმაყოფილებას.¹⁴⁴

აღსანიშნავია, რომ ვალდებულების ერთ მხარეს შესაძლოა რამდენიმე პირი იდგეს და ისინი სოლიდარულად იყვნენ პასუხისმგებელი ვალდებულების შესრულებისთვის. დავუშვათ, რომ სამი მოვალიდან ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წინაშე მხოლოდ ერთი სოლიდარული მოვალე დგას ან სამი სოლიდარული მოვალიდან ორი დაუძლეველი ძალის წინაშე

¹⁴³ *ndubuisi augustine nwafor.*, Comparative and Critical Analysis of the Doctrine of Exemption/Frustration/Force Majeure under the United Nations Convention on the Contract for International Sale of Goods, English Law and UNIDROIT Principles Scotland MARCH 2015, p.25.

¹⁴⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 15 ივლისის განჩინება, საქმეზე №ას-1008-2019.

აღმოჩნდება ან შესრულება განსაკუთრებით გაურთულდება. თეორიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს შემთხვევა წარმოადგენს „ინდივიდუალური ეფექტის“ მქონე გარემოებას, რაც ნიშნავს იმას, რომ იგი არ უნდა გავრცელდეს სხვა სოლიდარულ მოვალეების მიმართ თუ მათ შეუძლიათ, რომ თავისუფლად, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე იმოქმედონ მაშინ სრულად უნდა შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები.¹⁴⁵ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში თუ კოვიდ-19 გამოიწვევს შესრულების გართულებას ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ, როგორც ფაქტობრივი ისე ფინანსური თვალსაზრისით, ამან არ უნდა იმოქმედოს კრედიტორის წინაშე ნაკისრ სხვა სოლიდარული მოვალეთა ვალდებულებებზე.

2. დაუყოვნებლივ შესრულების მოთხოვნის შესაძლებლობა და მისი რისკები

სსკ-ს 367-ე მუხლი აძლევს კრედიტორს დაუყოვნებლივ შესრულების მოთხოვნის უფლებას იმ შემთხვევაში თუ ადგილი აქვს მოვალის გადახდისუნარობას.¹⁴⁶ ნორმა მიზნად ისახავს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას და ანიჭებს კრედიტორს ვადამდე ადრე მოთხოვნის უფლებას მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებითად უარესდება მოვალის ქონებრივი შესაძლებლობები რის შედეგადაც ჩნდება გონივრული ვარაუდი, მასზე, რომ მოვალე მისი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით ვერ შეძლებს სამომავლო ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებას.¹⁴⁷

გლობალური პანდემიის ფონზე არაერთ სამეწარმეო სუბიექტის არსებობს დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ, განსაკუთრებით კი იმ სამეწარმეო სუბიექტების, რომელთა საქმიანობა ერაერთხელ შეიზღუდა სამთავრობო თუ საპარალამენტო რეგულაციების საფუძველზე, შესაბამისად, ამ გარემოების გათვალისწინებით აბსოლუტურად მოსალოდნელი იყო მათი ფინანსური მდგომარეობის იმ ნიშნულამდე დაყვანა, რომ საფრთხე შექმნოდა მათ გადახდისუნარიანობას.

¹⁴⁵ *მესხიშვილი ქ.*, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბილისი, 2020, გვ. 61 იხ.ციტირება: Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34. Auflage, Verlag C.H.Beck, S.434, Rn.

¹⁴⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 367.

¹⁴⁷ *მესხიშვილი ქ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 367, ველი 2, იხ:ციტირება: *ძლიერიშვილი ზ.*, ვალდებულების შესრულება, თბილისი, 2006, გვ.58.

შესაძლებელია, რომ ვალდებულება არათუ ახლა იყოს ვადადამგდარი, არამედ იგი მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დგებოდეს, თუმცა კრედიტორმა მოვალის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით სასარჩელო წარმოების ფარგლებში მოითხოვოს მისი დაუყოვნებლივ შესრულება. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, პირველ რიგში, გათვალისწინებული უნდა იქნას მსოფლიო ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე მოპასუხის საქმიანობის სპეციფიკა. სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა შეაფასოს, როგორც ახლანდელი ზოგადი ეკონომიკური ფონი ისე პირის მიერ მომავალში ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა. აღნიშნული განსაკუთრებით საფრთხილოა მაშინ, როდესაც საქმე ეხება ისეთ მეწარმე სიუბიექტს, რომელსაც სხვა არაერთი ვალდებულება აქვს, რადგან ერთი კონკრეტული კრედიტორის მოთხოვნა მას არ უნდა დააწვეს ისეთ მძიმე ტვირთად, რომ მომავალში საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს მისი საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა.

ზემოთ აღწერილი შემთხვევის დავის ფარგლებში გადაწყვეტა არ იქნება საუკეთესო გამოსავალი. უფრო სწორი იქნება თუ თითოეული მხარე გაგებით მოეკიდება შექმნილ ვითარებას და იმოქმედებს კეთილსინდისიერების პრინციპის ფარგლებში, რაც გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემას,¹⁴⁸ რომელიც არ შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს სახელშეკრულებო დათქმით.¹⁴⁹ კეთილსინდისიერება (bona fides) ერთ-ერთი ფუნდამენტური იურიდიული პრინციპია, რომელიც აწესებს მორალური, ზნეობრივი, ერთგულების და გონივრულობის ქცევითი სტანდარტს. სანამ ეს უკანასკნელი კლასიკურ რომანულ სამართლებრივ სისტემაში იურიდიული ხასიათი შეიძენდა იგი მოხსენებული იყო, როგორც საკუთარი სიტყვებისადმი ერთგულება და პატიოსნება.¹⁵⁰ საგულისხმოა, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი ინდივიდის

¹⁴⁸ იხ. უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-1338-1376-2014.

¹⁴⁹ ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-1, გვ. 14, 38 იხ. ციტირება: Dauner-Lieb/Heidel/Rins, BGB Anwaltkommentar, Schuldrecht, Bnd. 2, Art. 242; Staudinger/Looschelders/Olzen-Looschelders, Kommentar zum BGB, Einleitung zum Schuldrecht, Treu und Glauben, Berlin (Sellierde Gruyter), 2005, Rn.107; Palandt/Heinrichs 65. Auflage, München (Beck), 2006, §242, Rn.15; Larenz, Schuldrecht, Band I, München, 1987, §10, 128; Soergel-Teichman, Band. III, 13. Auflage, Verlag Kohlhammer, Herbst 2002, §242, Rn.108; BGH, NJW, 1987, 2808

¹⁵⁰ Talya Uçaryılmaz., The Principle Of Good Faith In Public International Law, Oxford Institute of European and Comparative Law, Bilkent University Faculty of Law, 2019, p.45

მოქმედებას არა განყენებულად, არამედ სამართლიანობასთან კავშირში განიხილავს და ამით გარკვეულწილად ზღუდავს მის თავისუფლებას.¹⁵¹

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს სასამართლომ იმ შემთხვევას, როდესაც ზემოაღნიშნული სარჩელის ფარგლებში მოთხოვნილია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული სარჩელის უზრუნველყოფა, მაგალითად, მეწარმე სუბიექტის ანგარიშებზე ყადაღა. მოსამართლის მიერ ფრთხილი ქცევა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ფულადი ტრანზაქციების შეუსრულებლობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს სამეწარმეო სუბიექტის მომავალ საქმიანობაზე ¹⁵² და ისედაც არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფი სამომავლოდ შესაძლოა კიდევ უფრო მეტი პრობლემის წინაშე დააყენოს. მნიშვნელოვანია, რომ, როგორც ხელშეკრულების მხარეებმა ისე სასამართლომ ხელი უნდა შეუწყონ იურიდიული პირის „გაჯანსაღების“ პროცესს განსაკუთრებით თუ საქმე ეხება ისეთი სექტორის წარმომადგენელს, რომელმაც რეგულაციების ფონზე ყველაზე დიდი დარტყმა მიიღო.

3. მოვალისადმი მოთხოვნის განხორციელების შეუძლებლობა, სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის შეჩერება და მისი მიმართება კოვიდ-19 თან

კოვიდ-19-ის პრევენციებისთვის საქართველოს მთავრობის მიერ არაერთხელ დაწესდა გადაადგილების შეზღუდვა. 15 აპრილს აიკრძალა ქ. თბილისის, ქ. რუსთავის, ქ. ქუთაისისა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტებში შესვლა და ამ მუნიციპალიტეტებიდან გასვლა.¹⁵³ ასევე აღსანიშნავია, რომ მკაცრ საკარანტინე სივრცედ გამოცხადდა მარნეულის, ლენტეხის, ქობულეთის, ხაშურისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტები¹⁵⁴ რაც ნიშნავდა იმას, რომ აკრძალული იყო როგორც მათში შესვლა ისე ამ ქალაქების დატოვება. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ ცალკეული გარემოების გამო პირს ვერ შეეტანა სარჩელი მოწინააღმდეგე

¹⁵¹ *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, გვ. 83.

¹⁵² იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 05 სექტემბრის განჩინება საქმეზე №28/3081-16.

¹⁵³ Covid-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში, გვ.29.

¹⁵⁴ Covid-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში, გვ.25.

მხარის წინააღმდეგ და დაეკარგა მოთხოვნის მატერიალურ -სამართლებრივი შესაძლებლობა.

ხანდაზმულობის საკითხთან მიმართებით უნდა განვიხილოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება იმ შემთხვევაში თუ სარჩელის წარდგენას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალა.¹⁵⁵ აღნიშნული გარემოება კრედიტორის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს შესაბამისად, მანდ უნდა დაადასტუროს, რომ 1) მოთხოვნის ვადაში წარუდგენლობა მის კონტროლს მიღმა არსებულმა ფაქტორმა განაპირობა 2) გონივრული წინადახეულობის ფარგლებში მას ამ ვითარების განჭვრეტა არ შეეძლო 3) დაუძლეველ გარემოებას კრედიტორი ვერ აიცილებდა თავიდან 4) მოთხოვნის ვადაში წარუდგენლობა არ ყოფილა კრედიტორის დაუდევრობის შედეგი.¹⁵⁶

ხანდაზმულობის ვადის შეჩერება შესაფასებელია კრედიტორის ავადმყოფობის კონტექსტშიც. ვინაიდან კოვიდ-19-ით ინფიცირებულ პირებს რამდენიმე კვირის მანძილზე არ ჰქონდათ შენობის დატოვებისა და სხვა პირებთან კონტაქტის შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ „კრედიტორის ავადმყოფობის მისი უფლების დაცვის განხორციელების დამაბრკოლებელ გარემოებად მიჩნევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ უტყუარად დადგინდება, რომ ავადმყოფობის სირთულიდან გამომდინარე, მას არ შეეძლო თავად ან წარმომადგენლის მეშვეობით ემოქმედა“¹⁵⁷

აქვე აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ხანდაზმულობის ვადის გაშვებისა და მისი აღუდგენლობისა, თუ სახეზეა სოლიდარული ვალდებულება შესაძლოა, რომ ერთ-ერთ სოლიდარულ კრედიტორს მაინც მიენიჭოს მომავალში მოთხოვნის უფლება. აღნიშნული დასაშვებია იმ შემთხვევაში, როდესაც მართალია, სახეზეა სოლიდარული ვალდებულება თუმცა იგი რამდენიმე ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ელემენტისგან შედგება, შესაბამისად შესაძლოა, რომ ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განვითარდნენ და მისი დენა თითოეული

¹⁵⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 132-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

¹⁵⁶ *კვანტალიანი ნ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, მუხლი 132, ველი 15.

¹⁵⁷ იქვე. მე-13 ველი.

კრედიტორის მიმართ დამოკიდებლად დაიწყოს, შესაბამისად ლოგიკურია, რომ ამ შემთხვევაში განსხვავებული იქნება მათი დასრულების დროც¹⁵⁸.

V. ცალკეული სახელშეკრულებო ურთიერთობების თავისებურებანი და მათი მიმართება კოვიდ-19-ით გამოწვეულ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობასა და გართულებასთან.

1. იჯარის ხელშეკრულება

პირველ რიგში, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ იჯარა არის გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობა, რომელიც სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობისგან განსხვავებით ხასიათდება შედარებით მზოქავი ხასიათით, გარდა ამისა, იგი მეტად „მგძნობიარეა“ არაპროგნოზირებად გარემოებებზე, განსხვავებით იმ გარიგებებისგან, რომლებიც დროის მოკლე მონაკვეთში სრულდება.¹⁵⁹

Covid-19-ის ფონზე პრაქტიკაში განსაკუთრებით აქტუალური გახდა საიჯარო ურთიერთობების დარეგულირების საკითხი, რადგან შეზღუდვების ფონზე დაიკეტა არა ერთი კომერციული ობიექტი, რომლებიც ვეღარ იღებდნენ ბიზნეს საქმიანობიდან შემოსავალს. საბოლოოდ, იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის გადახდა მოიჯარის უმძიმეს ფინანსურ ტვირთად იქცა.

აღსანიშნავია, რომ თუ საიჯარო ურთიერთობის რომელიმე მხარე იმყოფება ისეთ ვითარებაში, რომელიც მისი ბრალის გარეშე შეუძლებელს ხდის ვალდებულების შესრულებას, ამგვარი ვალდებულების შეუსრულებლობა უნდა იქნეს გამართლებული ამ ვითარების მოქმედების მანძილზე.¹⁶⁰ თუ მოიჯარის მოგების მოლოდინს მოგვიანებით დამდგარი მოვლენა ვერ გაამართლებს, ამ შემთხვევაში სახეზეა მოიჯარის პასუხისმგებლობის სფეროში შემავალი ჩვეულებრივი რისკის განხორციელება. „ეს ასეა მაშინაც, როცა ხელშეკრულების დადების შემდეგ განხორციელებული საკანონმდებლო ან სახელმწიფო-მმართველობითი ზომები იწვევს მოიჯარის სამეწარმეო საქმიანობის შეზღუდვას.“ აქედან გამომდინარე,

¹⁵⁸ *რობაქიძე ი.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 460, ველი 11 იხ.ციტირება: *ზოიძე ბ.*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, გვ. 600.

¹⁵⁹ *ჰაგენლოხი უ.*, კოვიდ-19-თან დაკავშირებული სამოქალაქო-სამართლებრივი საკითხები: ქართული სამართლებრივი ვითარების შეფასება გერმანული პერსპექტივიდან, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 3/2021, გვ.27.

¹⁶⁰ Court of Appeals of the State of New York, Kel Kim, 70 N.Y.2d at 902. Dec 21, 1987.

გერმანიაში სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, კორონა-ვირუსისგან გამომდინარე საწარმოს დაკეტვა არ წარმოშობს იჯარის ნივთის ნაკლს. ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული შემზღვევით/ამკრძალავი რეგულაციები არ გამომდინარეობს საიჯარო ქონების სხვადასხვა თვისებისა თუ მდგომარეობიდან, არამედ მიმართულია ნივთით ფაქტობრივად სარგებლობასთან დაკავშირებული ინფიცირების საფრთხის ნეიტრალიზაციისა და აღმოფხვრისკენ.¹⁶¹

კოვიდ-19-ის კონტექსტში საიჯარო ურთიერთობების შემსუბუქების მიზნით გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონს 240-ე მუხლს დაემატა მე-2 ნაწილი რომლის თანახმად მესაკუთრეებს არ ჰქონდათ იჯარის ხელშეკრულების (მიწის ან შენობის) შეწყვეტის უფლება მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მოიჯარე არ ახორციელებდა თანხის გადახდა 2020 წლის 1 აპრილიდან 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით, მიუხედავად გადაუხდელი დღეების ხანგრძლივობისა.¹⁶² აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებები არ შესულა.

1.1 გადასახდელი თანხის შემცირება/გადავადება, როგორც საიჯარო ურთიერთობის მოწესრიგების ფორმა

უინდროას პრინციპების 6.2.3 მუხლის თანახმად იმ შემთხვევაში როდესაც ხელშეკრულების ერთ მხარისთვის რთულდება შესრულება, მან უნდა დაიწყოს მოლაპარაკების პროცესი მეორე მხარესთან, ამავე მუხლითაა განსაზღვრული სასამართლოს გზით მისადაგების შესაძლებლობა.¹⁶³

ნებისმიერი სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე გაგებით უნდა მოეკიდოს მეორე მხარის ინტერესებს, შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც მოიჯარის საქმიანობის სფერო ზოგიერთი შემთხვევაში საერთოდ აკრძალულია და ზოგიერთ შემთხვევაში დაშვებულია თუმცა საკმაოდ მნიშვნელოვანი შეზღუდვებით, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების კონტრაქტის

¹⁶¹ *ჰაგენლოხი უ.*, კოვიდ-19-თან დაკავშირებული სამოქალაქო-სამართლებრივი საკითხები: ქართული სამართლებრივი ვითარების შეფასება გერმანული პერსპექტივიდან, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 3/2021, გვ.8.

¹⁶² Einführungsgesetz zum Bürgerlichen Gesetzbuche, Art 240, (§2).

¹⁶³ UNIDROIT PRINCIPLES OF INTERNATIONAL COMMERCIAL CONTRACTS, 2016, Art. 6.2.3.

რეგულაციების ზემოქმედების შედეგად არ აღმოჩნდეს მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში.

ზემოქმედების არსებობაზე, შეიძლება ვისმსჯელოთ მაშინ, როდესაც არსებითად მცირდება შემოსავლები წინა წელთან შედარებით, ამასთან, გასათვალისწინებელია მიიღო თუ არა დამქირავებელმა/მოიჯარემ სახელმწიფოს ან სხვა პირის მხარდაჭერა შეზღუდვებით გამოწვეული ზარალის კომპენსაციის მიზნით.¹⁶⁴

ფიზიკური პირის მიერ გადასახდელი ქირის შემცირება შესაძლოა გამოიწვიოს იმ ფაქტმა, რომ მან კოვიდ-19-ის პერიოდში დაკარგა სამსახური ან საგრძნობლად შეუმცირდა ხელფასი.¹⁶⁵ საინტერესოა ილინოისის სასამართლოს გაკოტრების პალატის გადაწყვეტილება, სადაცა აღინიშნა, რომ მიუხედავად სამთვარობო შეზღუდვებისა, რესტორანი მაინც აგრძელებდა მიტანის სერვისსზე მუშაობას შესაბამისად, მის მიერ იჯარის გადაუხდელობა არ იყო გამართლებული და იჯარის შემცირება უნდა მომხდარიყო შემოსავლის შემცირების პროპორციულად.¹⁶⁶ აღნიშნულ საკითხთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი არის იჯარის ხელშეკრულების დადების დრო, გამომდინარე იქედან, რომ თუ მხარე იმ პირობებში გააფორმებს ხელშეკრულებას, როდესაც მისთვის უკვე ცნობილია მსოფლიოში არსებული მდგომარეობის შესახებ და განსაკუთრებით იმ რისკების თაობაზე, რომელიც შესაძლოა სავაჭრო ობიექტს შეექმნას მაშინ იგი უნდა კარგავდეს კოვიდ-19-ზე, როგორც შესრულების გართულების საფუძველზე მითითების შესაძლებლობას.

ეროვნულმა კაბინეტმა (National Cabinet Mandatory Code of Conduct) დააწესა საიჯარო ურთიერთობის რეგულირების პრინციპები. მე-3 პრინციპის უმთვარეს მოთხოვნას წარმოადგენს მეიჯარეების მიერ მოიჯარეებისთვის ქირის პროპორციული შემცირების შეთავაზების ქირის გადავადების შესაძლებლობა. მოცემულ შემთხვევაში უნდა იქნეს გამორკვეული თუ რა ოდენობით შემცირდა დამქირავებლის შემოსავალი. ამავე პრინციპის თანახმად ზემოაღნიშნული წესი

¹⁶⁴ *ჰაგენლოხი უ.*, კოვიდ-19-თან დაკავშირებული სამოქალაქო-სამართლებრივი საკითხები: ქართული სამართლებრივი ვითარების შეფასება გერმანული პერსპექტივიდან, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 3/2021, გვ.20.

¹⁶⁵ COVID-19- Consumer Law Research Group, Consumer Law and Policy Relating to Change of Circumstances Due to the COVID-19 Pandemic, *Journal of Consumer Policy* (2020), p.440.

¹⁶⁶ United States Bankruptcy Court, N.D. Illinois, Eastern Division, *Hitz Rest. Grp.*, 616 B.R. 374 Bankr. N.D. Ill. 2020.

უნდა გავრცელდეს, კოვიდ-19-ის შემდგომ ე.წ „გაჯანსაღების“ გონივრულ პერიოდზე.¹⁶⁷

ამ საკითხთან მიმართებით განსაკუთრებით კი კოვიდ-19-ის კონტექსტში საინტერესოა სამხრეთ უელსის უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ მხარი დაუჭირა იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის 75%-ით შემცირებას, რაც მოიჯარის მთლიანი გაყიდვების შემცირების პროპორციულად მოხდა, რითიც სასამართლომ უარყო მოიჯარის არგუმენტი მასზედ, რომ მისი შემოსავალი კონკრეტულად ერთი ობიექტიდან უნდა დათვლილიყო.¹⁶⁸

დღეის მდგომარეობით საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკაში აღნიშნულ საკითხთან მიმართებით არ იძებნება გადაწყვეტილებები, თუმცა კარგი იქნება თუ საერთო სასამართლოების მიერ გაზიარებული იქნება ზემოთ განხილული საერთაშორისო გამოცდილება. თუმცა თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ პირდაპირი მიზეზობრივი კავშირის არარსებობის გამო ან სხვა საფუძველით არ უნდა მოხდეს მხარეების სახელშეკრულებო ურთიერთობაში დარჩენა და შეცლილ გარემოებებთან მისადაგება, მაინც უნდა იქნეს გათვალისწინებული მოიჯარის ფინანსური მდგომარეობა, რადგან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ერთდროულად აღსრულება, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ხელშეკრულების თანახმად 1-ლი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსრულებას ექვემდებარება, შესაძლებელია, რომ უმძიმეს ფინანსურ ტვირთად დააწვეს მოჯარე მეწარმე სუბიექტს. ამიტომ ასეთ შემთხვევაში გარდა მხარეთა შორის მორიგებისა და მოლაპარაკებისა, შესაძლოა სასამართლომ გამოიყენოს სსსკ-ის 263-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული უფლება და 3 თვემდე ვადით გადაავადოს გადაწყვეტილების აღსრულება ან ერთ წლამდე ვადით გაანწილვადოს იგი¹⁶⁹, თუმცა ამ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს მეორე მხარის ინტერესები და მისი ფინანსური მდგომარეობა. აღსანიშნავია ისიც, რომ კომერციული იჯარის ხელშეკრულებები, როგორც წესი, ითვალისწინებენ მაღალი ოდენობის პირგასამტეხლოს, თუმცა ამ მიმართებით მხარისთვის შემამსუბუქებლად შესაძლოა სსკ-ს 420-ე მუხლი

¹⁶⁷ National Cabinet Mandatory Code of Conduct - SME Commercial Leasing Principles During COVID-19, LEASING PRINCIPLES , 3.

¹⁶⁸ NSW Supreme Court , *Sneakerboy Retail Pty Ltd trading as Sneakerboy v Georges Properties Pty Ltd (No 2)* 26 august, 2020.

¹⁶⁹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 263-ე მუხლის პირველი ნაწილი.

მოგვევლინოს, რომელიც სასამართლოს მიერ შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების შესაძლებლობას განსაზღვრას.¹⁷⁰

საბოლოოდ, გადასახდელი თანხის კორექტირება/გადაწილება შესაძლებელია ისე მოხდეს, რომ არ დაირღვეს არცერთი მხარის ინტერესი და ყველაზე მნიშვნელოვანი -ხელი შეეწყოს მეწარმე სუბიექტი „გაჯანსაღებას“.

1.2 იჯარის ურთიერთობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ღონისძიებები და მათი მიმართება კოვიდ-19-ით გამოწვეულ ვალდებულების შესრულების გართულებასთან

გერმანიის პარლამენტმა მიიღო 2020 წლის 27 მარტს მიიღო მორატორიუმი, რომელიც განსაზღვრავდა გარკვეულ შეზღუდვებს იჯარის შეწყვეტასთან დაკავშირებით. გამოცხადებული მორატორიუმის თანახმად, მესაკუთრეებს ეკრძალებოდათ საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტა, იმ შემთხვევაში თუ მოიჯარეებს არ შეეძლოთ ქირის გადახდა. კორონავირუსის პანდემიის გამო, 2020 წლის აპრილიდან ივნისამდე.¹⁷¹ კოვიდ პანდემიის გამო იჯარის/ქირავნობის ხელშეკრულებების შეწყვეტის აკრძალვა დადგინდა ავსტრიის კანონმდებლობითაც.¹⁷²

საფრანგეთში 2020 წლის 12 მარტიდან ორი თვის მანძილზე იჯარის ხელშეკრულებები აღარ ექვემდებარებოდა ფინანსურ სანქციებს, პროცენტებს, აღსრულების ღონისძიებებს, შეწყვეტას, გარანტიების ან თავდებობის გააქტიურებას. გარდა ამისა, ყველა მოიჯარეს, რომლებიც ახორციელებდნენ ეკონომიკურ საქმიანობას საგანგებო მდგომარეობის საფუძველზე შეუჩერდათ კომუნალური გადასახადების გადახდა.¹⁷³

1.3. იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა, როგორც კოვიდ-19-ით გამოწვეული შესრულების გართულების უკიდურესი ზომა

სსკ-ს 398-ე მუხლის თანახმად მხარეები, პირველ რიგში ცდილობენ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს, ხოლო თუ მათი მცდელობა

¹⁷⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 420.

¹⁷¹ Gesetz zur Abmilderung der Folgen der COVID-19-Pandemie im Zivil-, Insolvenz- und Strafverfahrensrecht (27 Mar. 2020).

¹⁷² BGBl I, no. 24 – § 1 of 2. COVID-19-Justiz-Begleitgesetz, Art. 37 of 4. COVID-19-Gesetz (4 Apr. 2020).

¹⁷³ *Valentin Jentsch.*, Government responses on Corona and contracts in Europe: A Compilation Of Extraordinary Measures In Times Of Crisis, eui Working Paper LAW 2020/11, 2020, p.16.

უშედეგო აღმოჩნდა შესაძლებელია, რომ დაზარალებულმა მხარემ საერთოდ უარი თქვას ხელშეკრულებაზე.¹⁷⁴

ხელშეკრულების შეწყვეტა არის ფუნდამენტური შეუსრულებლობის შედეგი.¹⁷⁵ საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ შემოშავებული წესების თანახმად თუ დაბრკოლება ხანგრძლივია და ამით ნადგურდება მხარეების სახელშეკრულებო მოლოდინები, ნებისმიერ მხარეს აქვს უფლება შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარისთვის შეტყობინების გონივრულ ვადაში გაგზავნის გზით. ამასთან, ამავე წესების თანახმად თუ ხელშეკრულებით სხვა ვადა არ არის დადგენილი მაშინ ხელშეკრულება შესაძლოა შეწყდეს ნებისმიერი მხარის მიერ იმ შემთხვევაში თუ გადაულახავი მდგომარეობა 120 დღეზე მეტ ხანს გრძელდება.¹⁷⁶

აღსანიშნავია, რომ რომ სახელშეკრულებო თავისუფლების გამოვლინებაა არა მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლა, კონტრაქტის არჩევა, ხელშეკრულების პირობების განსაზღვრა, არამედ- ხელშეკრულების შეწყვეტაც, მათ შორის ცალმხრივად. როგორც წესი ხელშეკრულების არამართლობიერად შეწყვეტის შემთხვევაში ერთადერთი გარემოება, რომელსაც შეუძლია, რომ ეს ქმედება გაამართლოს არის „გარიგების საფუძვლის დარღვევა“ ანუ სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლის შემდგომ ფაქტობრივი მოცემულობის მკვეთრი ცვლილება.¹⁷⁷

1.4. ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკა

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების საფუძვლის რღვევის დოქტრინა გამოირჩევა ძალიან მკაცრი და ვიწრო ხასიათით იმისა, იმ შემთხვევაში თუ მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვებით დაქვეითებულია ან უარყოფილია მოიჯარის მიერ ბიზნესის კეთების შესაძლებლობა მას უნდა მიეცეს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება.¹⁷⁸ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ საკმაოდ

¹⁷⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 398-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

¹⁷⁵ *ndubuisi augustine nwafor.*, Comparative and Critical Analysis of the Doctrine of Exemption/Frustration/Force Majeure under the United Nations Convention on the Contract for International Sale of Goods, English Law and UNIDROIT Principles Scotland MARCH 2015 გვ. 161.

¹⁷⁶ International Chamber of Commerce, ICC force majeure and hardship clauses, (long form) MARCH 2020, ხელმისწვდომია: <https://iccwbo.org/content/uploads/sites/3/2020/03/icc-force majeure-hardship-clauses-march2020.pdf> საბოლოო ვიზიტი [30.06.2021].

¹⁷⁷ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №28/2867-13.

¹⁷⁸ *Perrie Weiner., Aaron Goodman., Kelton Basirico., Baker McKenzie*, Commercial Lease Defenses During Covid-19, Bureau of National Affairs, Inc, 2020, p.3.

მკაცრი მიდგომა იქნა განვითარებული ნიუ-იორკის უმაღლესი სასამართლოს მიერ უახლეს სასამართლო დავაზე, რომელიც ეხებოდა უძრავი ქონების იჯარით გადაცემას იმ მეწარმე სუბიექტისთვის, რომლის ძირითადი საქმიანობა სარესტრონო ბიზნესისთვის კონსულტაციის გაცემით შემოიფარგლებოდა. სარესტრონო საქმიანობის შეზღუდვის ფონზე მოიჯარე ამართლებდა მის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობას იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მისი ძირითადი საქმიანობა იყო სარესტრონო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის რჩევები მიცემა, შესაბამისად სარესტრონო ბიზნესის ფუნქციონირების შეწყვეტით მისმა საქმიანობამაც დაკარგა აზრი. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ ინდუსტრიის ცვალებადობა ბიზნეს საქმიანობის თანმდევი შედეგია, შესაბამისად მიუხედავად იმისა, რომ რესტორნებს გარკვეული ოპერაციები აკრძალათ (მაგალითად, დახურულ სივრცეში მომხმარებლის დაშვება) პანდემიის მიზეზით მათ სრულად არ შეუწყვიტავთ ფუნქციონირება. სასამართლოს მსჯელობით პანდემიის ფონზე დაიხურა უამრავი კვების ობიექტი როგორც პირადი გადაწყვეტილებით ისე მთავრობის მიერ მიღებული კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ხელშეკრულების საგნის განადგურებას. სასამართლოს განმარტებით ხელშეკრულების საგნის განადგურებას ადგილი ექნებოდა იმ შემთხვევაში თუ განადგურდებოდა იჯარით გაცემული ქონება, ან ადგილი ექნებოდა ისეთი ქონებით სარგებლობას, რომელიც განსაკუთრებული მიზნით იყო მიღებული და მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ დაკარგა ამ მიზნის მიღწევის მახასიათებლები. მესაკუთრე და მოიჯარე არასდროს შეთანხმებულან, რომ საიჯარო თანხის გადახდა დამოკიდებული იქნებოდა მოიჯარის ფინანსურ შესაძლებლობაზე, შესაბამისად, სასამართლომ ცალმხრივად არ შეცვალა მხარეების მიერ დადებული ხელშეკრულება.¹⁷⁹

მასაჩუსეტსის სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე დაადგინა, რომ კომერციული მოიჯარე არ არის ვალდებული გადაიხადოს ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა მაშინ, როდესაც როდესაც პანდემიის შედეგად იშლება იჯარის ხელშეკრულების მიზანი. მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა წინასწარ განსაზღვრეს, რომ უძრავი ქონება მხოლოდ კაფეს გახსნის მიზნით უნდა ყოფილიყო გამოყენებული, შესაბამისად რადგან ადგილი ჰქონდა მიზნის

¹⁷⁹ Supreme Court of New York, 1140 Broadway LLC v Bold Food, LLC, 2020 NY Slip Op 34017(U), December 3, 2020.

მოშლას, სასამართლომ დაადგინა, რომ მოიჯარეს არ დაურღვევია თანხის გადახდის ვალდებულება.¹⁸⁰

სამხრეთ ფლორიდის რაიონულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული ფორს-მაჟორის დებულება არ უნდა იქნეს გაგებული ზოგადად, სასამართლოს განმარტებით მნიშვნელოვანია მკვეთრი მიზეზობრივი კავშირის დადგენა დამდგარ მოვლენასა და ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას შორის. ამავე გადაწყვეტილებით სასამართლომ ფორს-მაჟორული გარემოების მტკიცების ტვირთი ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს დააკისრა. საბოლოოდ, სასამართლომ დაასკვნა, რომ იქამდე ვიდრე დეტალურად არ იქნებოდა გამოკვლეული ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა მხარე არ უნდა გათავისუფლებულიყო დაკისრებული ვალდებულების შესრულებისგან¹⁸¹

2. სესხის ხელშეკრულება

კერძო ავტონომიის დაუწერელი პრინციპის თანახმად მოვალე ყოველთვისაა პასუხისმგებელი ნაკისრი ფინანსური ვალდებულების შესრულებაზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ დავუშვებდით საპირისპიროს მაშინ გადაუხდელობის რისკი მთლიანად კრედიტორზე გადავიდოდა. ფულადი ვალდებულება მიუხედავად უფულობისა უნდა დარჩეს ძალაში, შესაბამისად ამ დროს პირველადი მოთხოვნიდან მეორად მოთხოვნაზე გადასვლა დაუშვებელია.¹⁸²

ზოგადი გადაწყვეტის მიხედვით, მაშინ როდესაც საქმე ეხება ფულად ვალდებულებას, ნაცვლად სსკ-ს 398-ე მუხლისა უნდა იქნეს გამოყენებული სსკ-ს 389-ე მუხლი, რომელიც სპეციალურ ნორმას წარმოადგენს, როდესაც იცვლება ვალუტა ან ფულის კურსი „ეს ცვლილება ძალიან მასშტაბური ხასიათის უნდა იყოს, როგორცაა ჰიპერინფლაცია, საგადამხდელო ბალანსის მოშლა და ნორმალური სამეურნეო კავშირების დარღვევა“.¹⁸³ მიუხედავად ზემოაღნიშნული

¹⁸⁰ Court of Massachusetts, at Suffolk, Business Litigation Session Umnv 205-207 Newbury, LLC v. Caffé Nero Americas, Inc. February 8, 2021, Decided, Opinion No.:145768.

¹⁸¹United States District Court Southern District of Florida Palm Springs Mile Associates, Ltd. v. Kirkland's Stores, Inc., 20-21724, 2020 WL 54111353 (S.D.Fla., Sept. 9, 2020).

¹⁸² სირდაძე ლ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილების ანალიზი, №28/445010, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 1/2019.

¹⁸³ქავშბაია ნ., ფულადი ვალდებულებისგან გათავისუფლება ან ხელშეკრულების მისადაგება პანდემიისას, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 3/2020. გვ. 78 იხ.

მსჯელობისა, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე მიიჩნია, რომ ფულადი ვალდებულების არსებობის მიუხედავად, დასაშვებია იყო სსკ-ს 398-ე მუხლის გამოყენება იმ შემთხვევაში თუ შეცვლილი გარემოების წარმოშობის შედეგად მოულოდნელად იჩენს თავს მხარეების ინტერესთა დისბალანსი რაც ცალსახად სცდება ნორმალური რისკის ფარგლებს.¹⁸⁴

შეცვლილ გარემოებებისადმი მისადაგებას აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი, ხოლო ამ მუხლის გამოყენებისთვის სახეზე უნდა იყოს შემდეგი წინაპირობები: 1) შეცვლილი გარემოებები უნდა იწვევდეს ვალდებულების შესრულების უკიდურეს დამძიმებას; 2) გარემოების შეცვლა უნდა მოხდეს ხელშეკრულების დადების შემდგომ; 3) ცვლილების მხედველობაში მიღება ხელშეკრულების დადებისას არ უნდა იყოს შესაძლებელი, ანუ შეცვლილი გარემოებები არ უნდა ექვემდებარებოდეს მხარის კონტროლს; 4. ხელშეკრულებით არ უნდა იყოს განსაზღვრული ვითარების შეცვლის რისკის დაზარალებული მხარისთვის გადაკისრება, ამ შემთხვევაში მოქმედებს სახელშეკრულებო პირობა, შესაბამისად დაუშვებელია სსკ-ს 398-ე მუხლის გამოყენება. 5. მიზეზობრივი კავშირის არსებობა. მითითებული ნორმა განსაზღვრავს შესრულების გართულების შედეგების თავიდან აცილების მიზნით ხელშეკრულების მონაწილთა ხელახალი შეთანხმების შესაძლებლობას შეცვლილ გარემოებაზე მორგებული პირობებით.¹⁸⁵ გარემოებების ცვლილებამ შეიძლება ორი განსხვავებული გავლენა იქონიოს ხელშეკრულებაზე, მათ შეუძლიათ გახადონ ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელი ან კონტრაქტისთვის უფრო მძიმე ტვირთის მატარებელი¹⁸⁶

ციტირება: *მესხიშვილი ქ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, 389-ე მუხლი, მე-8 ველი.

¹⁸⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-7-6-2010 ;მდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება ას-1153-1173-2011.

¹⁸⁵ იქვე.

¹⁸⁶ In N. Horn (Hrsg.), *Adaptation and Renegotiation of Contracts in International Trade and Finance*, Studies in Transnational Economic (Law vol. 3), 1985, S. 15–29, Changes in Circumstances and the Revision of Contracts in Some European Laws and in International Law, p. 636.

ბანკი, რომელსაც კონტრაქტი მხოლოდ სათანადო ანალიზის შედაგად ჰყავს არჩეული, კეთილსინიდისრების ვალდებულებიდან გამომდინარე უნდა უწყობდეს ხელს მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.¹⁸⁷

მნიშვნელოვანია, რომ სამომხმარებლო საკრედიტო ხელშეკრულებები ან უნდა გაგრძელდეს "მორატორიუმის" ვადით და ან მხარეები თვითონ უნდა წავიდნენ გარკვეულ კომპრომისზე. ასეთი სამართლებრივი გადაწყვეტა უზრუნველყოფს ხელშემკვრელი მხარეების უფლებებისა და მოვალეობების ბალანსის დაბრუნებას გახანგრძლივებული პერიოდის განმავლობაში. კონტრაქტით გახანგრძლივებული ვადის განმავლობაში შედარებით შემსუბუქდება თანხის გადახდა საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე და რაც საშუალებას მისცემს მოვალეებს, რომ შეცვალონ თავიანთი ფინანსური მდგომარეობა, მოარგონ იგი შეცვლილ გარემოებებსა და შრომის ბაზარზე არსებულ ახალ ეკონომიკურ მდგომარეობას, რის შედეგადაც დიდი ალბათობით უზრუნველყოფენ სესხის საბოლოო დაფარვას.¹⁸⁸

აღსანიშნავია, რომ ვინაიდან სასესხო ურთიერთობამ შეიძლება ზედმეტად შეზღუდოს პირის ეკონომიკური წინსვლა, იგი არ უნდა შესრულდეს ზედმეტად პანდემიის დროს.¹⁸⁹ თუმცა, მიუხედავად მოვალის უკიდურესი მდგომარეობისა, თუ ის ხელშეკრულების მისადაგებას აშკარად შეუსაბამო პირობებით ითხოვს, მაგალითად, მხოლოდ ძირითადი თანხის დაბრუნებას საპროცენტო სარგებლის მოშლით აღნიშნული მოთხოვნა სავსებით შესაძლებელია, რომ არ დაკმაყოფილდეს.¹⁹⁰ ბუნებრივია, რომ ამას რაციონალური ახსნა აქვს, რადგან კომერციული ბანკი, როგორც ბიზნეს სუბიექტი, თავის მხრივ, იძიებს ფულად სახსრებს ინვესტიციებს და საპროცენტო განაკვეთის მთლიანად გაქარწყლებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მის ლიკვიდურობას.

იმ შემთხვევაში თუ ვალდებულების გადავადება ხორციელდება შეცვლილი გარემოებების საფუძველზე აღნიშნული ბანკს ისედაც არასახარბიელო

¹⁸⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-7-6-2010.

¹⁸⁸ COVID-19- Consumer Law Research Group, Consumer Law and Policy Relating to Change of Circumstances Due to the COVID-19 Pandemic, Journal of Consumer Policy (2020), p. 443.

¹⁸⁹ *Valentin Jentsch.*, Government responses on Corona and contracts in Europe: A Compilation Of Extraordinary Measures In Times Of Crisis, eui Working Paper LAW 2020/11, 2020, გვ.17.

¹⁹⁰ *ქავშაია ნ.*, ფულადი ვალდებულებისგან გათავისუფლება ან ხელშეკრულების მისადაგება პანდემიისას, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 3/2020, გვ.80.

ეკონომიკურ მდგომარეობაში აყენებს, ხოლო სარგებლის საერთოდ გაქარწყლება საერთოდ აქრობს ბანკის ინტერესს საბანკო კრედიტის ხელშეკრულებისადმი. ფორსმაჟორული მდგომარეობა არ უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ მომხმარებლის ინტერესების სასიკეთოდ. უნდა მოხდეს ინტერესთა დაბალანსება. ცალსახად სამართლიანი და კანონიერია შეღავათიანი პერიოდის განმავლობაში დასარიცხი სარგებლის მოთხოვნა (რაც შეიძლება გადანაწილდეს მომდევნო თვეების დასაფარ თანხებზე) იმის გათვალისწინებით, რომ ბანკი უკვე წავიდა დათმობაზე და დათანხმდა ვალდებულების შესრულების გადავადებას.

2.1 ევროპული საკანონმდებლო მოწერისგება სასესხო/საკრედიტო ურთიერთობებთან მიმართებით

ევროპის სამართლის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული პრინციპების შესაბამისად COVID-19-ის პირობებში სახელმწიფოებმა საჭიროების შემთხვევაში უნდა უზრუნველყონ შეღავათების განხორციელება ზოგიერთ რეგულარულ გადასახადზე, განსაკუთრებით ქირასა და სესხზე.¹⁹¹

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 240-ე პარაგრაფს დაემატა მე-3 ნაწილი, რომლითაც გადავადდა 2020 წლის 15 მარტამდე დადებული სესხის ხელშეკრულებები. ამავე ნაწილის თანახმად თუ გადავადების ვადის ამოწურვიდან სამი თვის განმავლობაში მომხმარებელი კვლავ განიცდის შემოსავლის სიმცირეს COVID-19-ით გამოწვეული საგანგებო მდგომარეობის გამო პანდემიის გავრცელების შედეგად, მაშინ არაგონივრულია მის მიერ ვალდებულების შესრულება თუ ამით საფრთხე ემუქრება მომხმარებლის საკუთრივ საარსებო წყაროს. ახალი საკანონმდებლო მოწერისგების ფარგლებში გადავადების პერიოდის დასრულებამდე აიკრძალა გამსესხებლის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტა გადახდის შეუსრულებლობის, მომხმარებლის ფინანსური ვითარების მნიშვნელოვანი გაუარესების ან სესხისთვის გაცემული უზრუნველყოფის ღირებულების შემცირების საფუძველით იმ მოტივით, რომ დაუშვებელია მომხმარებლისთვის ზიანის მიყენება¹⁹²

დიდ ბრიტანეთში, როგორც ბანკებმა, ისე საფინანსო სექტორის მარეგულირებელმა ორგანომ (FCA) მიიღეს გარკვეული ზომები კოვიდ-19-ის პერიოდში მომხმარებლებისა და ბიზნეს სექტორის მხარდასაჭერად. საფინანსო

¹⁹¹ ELI Principles for the COVID-19 Crisis, The European Law Institute, 2020, principle 12 (1).

¹⁹² Einführungsgesetz zum Bürgerlichen Gesetzbuche, Art 240, (§3).

სექტორის მარეგულირებელმა ორგანომ გამსესხებელ ორგანიზაციებს მისცა გარკვეული მითითებები, რათა მათ ამის საფუძველზე შეეთავაზებინათ მომხმარებლებისთვის დროებითი მხარდაჭერა. ზემოაღნიშნული დროებითი ღონისძიებების მთავარი მიზანი მომხმარებელთა კრიზისის დაძლევა იყო.¹⁹³

2.2 გამოსახლების წინააღმდეგ მიმართული ზომები, როგორც ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის თანმდევი შედეგების დამცავი ნორმატიული მექანიზმი

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ პანდემიის ფონზე, გამოსახლება, ფაქტობრივად, არის სასიკვდილო განაჩენი. ამრიგად, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ გადაუდებელი ზომები, ადამიანის უფლებათა კანონმდებლობით შესაბამისად¹⁹⁴ ხელშეკრულების ვადის გახანგრძლივება ორივე მხარემ უნდა გამოიყენოს ხელშემკვრელი მხარის უფლებებსა და მოვალეობებს შორის სათანადო ბალანსის აღსადგენად. უფრო მეტიც, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული "სახლის ძირითადი უფლების" მნიშვნელობა, რაც დაცულია ECHR-სა და ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის შესაბამისად.¹⁹⁵ კრედიტორები გონივრულად და კეთილსინდისიერად უნდა მოიქცნენ და ხელი შეუწყონ სამომხმარებლო სესხების დაფარვას.¹⁹⁶

სწორედ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით პანდემიის ფონზე შეჩერდა „სხვისი მფლობელობიდან/სარგებლობიდან უძრავი ქონების გამოთხოვის საქმეებზე მოვალეებისა და მისი თანმხლები პირების სააღსრულებო ფურცელში მითითებული უძრავი ქონებიდან იძულებითი წესით გამოყვანა.“¹⁹⁷ ამავე

¹⁹³ Coronavirus (COVID-19)—implications for consumer credit, overdrafts and mortgages, ხელმისაწვდომია: <https://www.lexisnexis.co.uk/legal/guidance/coronavirus-covid-19-implications-for-consumer-credit-overdrafts-mortgages>, საბოლოო ვიზიტი:[01.07.2021].

¹⁹⁴ *Leilani Farha.*, COVID-19 Guidance Note: Prohibition of evictions, Special Rapporteur on the right to adequate housing, United Nations Human rights Special Procedures, 2020, p.1.

¹⁹⁵ COVID-19- Consumer Law Research Group, Consumer Law and Policy Relating to Change of Circumstances Due to the COVID-19 Pandemic, *Journal of Consumer Policy* (2020) p. 441.

¹⁹⁶ DIRECTIVE 2014/17/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 4 February 2014.

¹⁹⁷ ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის –აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობის ადმინისტრირებისა და მის მიერ პირთა მომსახურების კანონმდებლობით დადგენილისგან განსხვავებული დროებითი

ბრძანების მე-7 მუხლის თანახმად შეჩერდა საცხოვრებელ სადგომში არსებულ ნივთებზე ყადაღის დადება.¹⁹⁸

2020 წლის 4 სექტემბერს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრმა დააწესა მორატორიუმი ქირის გადაუხდელობის საფუძვლის საცხოვრებელი სადგომიდან გამოსახლებაზე. ბრძანების მიზანს წარმოადგენს ის, რომ შემცირდეს კორონავირუსის დაავადების შემდგომი გავრცელება, რათა გამოსახლებას შესაძლოა მოყვეს უსახლკარობა და გადატვირთული საცხოვრებელი სახლები.¹⁹⁹

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე იკვეთება, რომ, მართალია, მოვალეს აქვს მაღალი ინტერესი, რომ რაც შეიძლება მალე მოხდეს მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, თუმცა, პირველ რიგში, გათვალისწინებული უნდა იქნეს საზოგადოებრივი ინტერესი და პირის უფლება, რომ ისედაც უმძიმესი პანდემიის ფონზე არ დარჩეს სახლ-კარის გარეშე.

3. ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება

კოვიდ 19-ის კონტექსტში განსაკუთრებული ინტერესი გაჩნდა ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების მიმართ, რადგან სხვადასხვა დაწესებული რეგულაციების მიზეზით შეუძლებელი იყო ხელშეკრულების ძირითადი მიზნის მიღწევა.

სსკ-ს 666-ე მუხლის ითვალისწინებს ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტას იმ პირობებში როდესაც დაუძლეველი ძალის შედეგად მოგზაურობა გამწვანდება ან წარმოიშობა სხვა საფრთხე, ამავე მუხლით ასევე გათვალისწინებულია ხელშეკრულების შეწყვეტისა და თანხის დაბრუნების შესაძლებლობა.²⁰⁰ აღნიშნული საფუძვლით ტურისტული ხელშეკრულების შეწყვეტა დაგდენილია ასევე გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 651-ე პარაგრაფით.²⁰¹ აღსანიშნავია, რომ ტურმიზმი უპირატესად დამოკიდებულია ისეთ მოვლენებზე, რომელიც არ ექცევა ხელშეკრულების

წესების განსაზღვრის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 15 ივლისი ბრძანება №582, მუხლი 8.

¹⁹⁸ იქვე, მუხლი 7.

¹⁹⁹ Federal Eviction Moratoriums in Response to the COVID-19 Pandemic, the COVID-19 Pandemic, Congressional Research Service, Updated March 30, 2021, p.1.

²⁰⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 666-ე მუხლის პირველი ნაწილი.

²⁰¹ BGB, § 651k. (1).

მხარეების რისკის სფეროში, მაგალითად, ამინდის ცვლილება, მასშტაბური არეულობები, ბუნებრივი კატაკლიზმები.²⁰²

გერმანიის სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხს ძალიან სწორად უდგება და მგზავრს ანიჭებს ყოველგავრი კომპენსაციის გარეშე ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას თუ დანიშნულების ადგილას ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე თავს იჩენს ისეთი გარემოებები, რომლებიც ცალსახად უშლის ხელს მოგზაურს, რათა მან სრულყოფილად განახორციელოს ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებები. მსგავს შემთხვევასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა მოგზაურობის ქვეყანაში მძიმე დაავადების გავრცელების გამო სერიოზული საფრთხე ექმნება ადამიანების ჯანმრთელობას. ”კოვიდ-პანდემიიდან გამომდინარე მოგზაურობის არსებითი ხელშეშლის პროგნოზირებისთვის გსკ-ის §651h(თ)-ს მე-3 ნაწილის გაგებით საკმარისია ჯანმრთელობისთვის კონკრეტული საფრთხის არსებობაზე მითითება, მაგალითად, იქედან გამომდინარე, რომ მოგზაურის საცხოვრებელთან შედარებით, დანიშნულების ადგილას არის ინფექციის გადადების უფრო მაღალი რისკი, რომელიც საგრძნობლად გაიზარდა მოგზაურობის დაჯავშნის შემდეგ”²⁰³

ევროპის კავშირმა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით შეიმუშავა გარკვეული რეკომენდაციები, რომლის შინაარსი მდგომარეობს შემდეგში: იმ შემთხვევაში თუ ადგილი აქვს კორონა ვირუსით გამოწვეული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას, ნაცვლად თანხის უკან დაბრუნებისა მოგზაურს ეძლევა ვაუჩერი, რომელიც გაიცემა 12 თვემდე ვადით, ხოლო ამ ვადის ამოწურვიდან 14 დღის ვადაში მოგზაურობის მომწყობმა უნდა უზრუნველყოს მომხმარებლისთვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნება. ამავე რეკომენდაციით განისაზღვრება ისიც, რომ თუ ვაუჩერის მომედების ვადა არის 12 თვეზე მეტი, მაშინ მომხმარებელს უფლება აქვს ვაუჩერის გაცემიდან არაუგვიანეს 12 თვისა მოითხოვოს თანხის უკან დაბრუნება. რეკომენდაცია საშუალებას იძლევა, რომ მგზავრებმა და მოგზაურებმა შეძლონ ვაუჩერის გამოყენება ორგანიზატორის

²⁰² *ცერცვაძე გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, მუხლი 666, ველი 3, ხელმისაწვდომია: Gccc.ge.

²⁰³ *ჰაგენლოხი უ.*, კოვიდ-19-თან დაკავშირებული სამოქალაქო-სამართლებრივი საკითხები: ქართული სამართლებრივი ვითარების შეფასება გერმანული პერსპექტივიდან, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 3/2021, გვ.18.

მიერ შემოთავაზებული ნებისმიერი სატრანსპორტო ან ტურისტული მომსახურების მისაღების მიზნით.²⁰⁴

მსგავსად დარეგულირდა ზემოაღნიშნული საკითხი გერმანიაშიც. მომხმარებლებს ჩაშლილი მოგზაურობის სანაცვლოდ კანონის საფუძველზე მიეცათ ვაუჩერის მოთხოვნის უფლება, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს მისი მოქმედების ვადა და გამოცემის საფუძველი. იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი არ იყენებს ვაუჩერს, ვაუჩერის ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 14 დღისა მომხმარებელს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი თანხა.²⁰⁵ გერმანიის საკანონმდებლო სივრცეში მსგავსი ტიპის ვაუჩერის გაცემის შესაძლებლობა გაჩნდა ჩაშლილი სპორტული და გასართობი ღონისძიებების საპასუხოდაც.²⁰⁶

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნული საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგება არის ძალიან სწორი გადაწყვეტა, რადგან ერთი მხრივ, იგი ქმნის სტაბილურობას და მეორე მხრივ, თანაბრად იცავს, როგორც ორგანიზატორის ისე მომხმარებლის უფლებებს.

²⁰⁴ Commission Recommendation (EU) 2020/648 of 13 May 2020 on vouchers offered to passengers and travellers as an alternative to reimbursement for cancelled package travel and transport services in the context of the COVID-19 pandemic C/2020/3125.

²⁰⁵ Einführungsgesetz zum Bürgerlichen Gesetzbuche, Art 240, § 6 (1).

²⁰⁶ იქვე.

დასკვნა

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ძირითადად კოვიდ 19-ით გამოწვეული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობასა და შესრულების გართულების ანალიზს დაეთმო. ნაშრომის ფარგლებში განხილული იქნა კონტიტენტური და ანგლოამერიკული სამართლის მიდგომა ზემოაღნიშნულ საკითხთან მიმართებით. ასევე, გამოკვლეული იქნა არაერთი ქვეყნის მიერ გატარებული საკანონმდებლო ღონისძიებები, რომლებიც ვალდებულების შეუსრულებლობისა ან ვალდებულების შესრულების გართულებიდან გამომდინარე შესაძლო ზიანის მინიმალიზირებას ისახვდა მიზნად.

კოვიდ-19-ის კონტექსტში განსაკუთრებით თავს იჩენს ეკონომიკური შეუძლებლობისა და სამართლებრივი შეუძლებლობის საკითხი. ეკონომიკურ შეუძლებლობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ვალდებულების არსებულ ვითარებაში შესრულება გამოიწვევს კონტრაქტისთვის მძიმე ფინანსურ ტვირთს. სამართლებრივი შეუძლებლობის დოქტრინაზე დაყრდნობით, არავის არ უნდა მოეთხოვებოდეს უკანონო მოქმედების ჩადენა. ამასთან, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ აღმასრულებელი ან/და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებული ზომები, რომლებიც სამართლებრივად შეუძლებელს ხდის ვალდებულების შესრულებას საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ და კონტრაქტს ამ გარემოების ზედმეტი მტკიცების ტვირთი არ უნდა დავაკისროთ.

მნიშვნელოვანია, რომ კოვიდ პანდემია აპრიორი არ ნიშნავს ფორს-მაჟორული გარემოების არსებობას, შესაბამისად, მხოლოდ იმაზე მითითება, რომ ქვეყანაში არის ზოგადი საგანგებო მდგომარეობა ვერ ამართლებს ვალდებულების შეუსრულებლობას ხელშესახები მტკიცებულებების არსებობის გარეშე. ამასთან, ზედმიწევნით უნდა იქნეს გაანალიზებული პროგნოზირებადობის ელემენტი. ამ კუთხით კი ყურადღება უნდა მიექცეს იმას თუ როდის დაიდო ხელშეკრულება, მაგალითად თუ ხელშეკრულება დაიდო პანდემიის დაწყების შემდეგ, მაშინ ივარაუდება, რომ მხარეებს წინასწარ აქვთ შეცნობილი ხელშეკრულებიდან გამომდინარე თითოეული რისკი. თუმცა სხვა შემდეგთან შეიძლება მივიდეთ მაშინ, როდესაც, მართალია, არსებობს საკმაოდ მძიმე ვითარება, თუმცა უეცრად მაინც ადგილი აქვს კონკრეტული გარემოების მკვეთრ ცვლილებას. ამ უკანასკნელის შეფასება თითქმის 2-წლიანი მძვინვარე პანდემიის ფონზე ძალიან მკაცრად უნდა მოხდეს.

კოვიდ-19-ის კონტექსტში ასევე შესაფასებელია დაბრკოლების რეალური არსებობა. მაგალითად, თუ კონტრაპუნტი მთელ მის ფინანსურ თუ ადამიანურ რესურსს მხოლოდ ერთი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისკენ მიმართავს ამ შემთხვევაში ვალდებულების შესრულების შეუძლებლობაზე მითითება სამართლებრივად არ უნდა იყოს დასაშვები. მსგავსი შედეგი დადგება მაშინაც, როდესაც პირი მისივე გადაწყვეტილებით (მაგ, ბიზნესის ნაკლებად მომგებიანობის გამო) საერთოდ წყვეტს საქმიანობას.

მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ ფორს-მაჟორის არსებობა ვერ გახდება ვალდებული პირის პასუხისმგებლობისგან გათვისფულების საფუძველი. აუცილებლად უნდა მოხდეს მეორე მხარის ინფორმირება, რათა მან, თავის მხრივ, შეძლოს გარკვეული ზომების მიღება იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს შესრულებლობით დამდგარი შედეგები.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მხარეების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ყოვლის მომცველი გარემოებებისა, (catch all phrases), სამომავლოდ, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით მხარეებმა ხელშეკრულებით უნდა გაითვალისწინონ ყველა შესაძლო მოვლენა და ნაცვლად ყოვლის მომცველი გარემოებებისა ხელშეკრულებით უნდა განსაზღვრონ პადენიმიასთან დაკავშირებული გარემოებები, მათ შორის, საკანონმდებლო ან/და ადამსრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებული ზომები. ასევე მნიშვნელოვანია უკვე არსებულ ხელშეკრულებით განსაზღვრული ფორს-მაჟორის მუხლის გადასინჯვა და შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით თითოეული შესაძლო ვარიანტის ამ უკანაკსნელში ასახვა.

ნაშრომის ფარგლებში დიდი ყურადღება დაეთმო შესრულების გართულების ინსტიტუტის ანალიზს და კოვიდ-19-ის კონტექსტში გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება. შესრულების გართულებასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ძირეულად იცვლება ხელშეკრულების წონასწორობა. მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს შესრულების გართულებას რომელიც გამოწვეულია ირიბი მიზეზობრივი კავშირით, მაგალითად, როდესაც შემზღუდავი/ამკრძალავი რეგულაციები ეხება პირის მოიჯარეს, რომელიც მის ერთადერთ შემოსავლის წყაროს წარმოადგენს.

ხელშეკრულების მისადაგების შესაძლებლობის გამორკვევისას უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ პანდემია დღესაც გრძელდება და იგი ძალიან უარყოფითად მოქმედებს მსოფლიო ეკონომიკურ მდგომარეობაზე, შესაბამისად, თუ მხარეებს შორის მოხდება ახალ გარემოებებზე მოლაპარაკება

გათვალისწინებული უნდა იყოს თითოეული მხარის საქმიანობის სპეციფიკა, მათი სახელშეკრულებო ურთიერთობის შინაარსი და დაზღვეული უნდა იყოს აბსოლუტურად ყველა რისკი. შესრულების გართულების პროცესში მნიშვნელოვანია გამოირკვევს თუ რამდენად შეუწყობს ეს უკანასკნელი ხელს მოვალის „გაჯანსაღების“ პროცესს.

კოვიდ-19-ის კონტექსტში იჯარის ხელშეკრულების სპეციფიკასთან მიმართებით გასაზიარებელია და მისაღებია საერთაშორისო გამოცდილება, მათ შორის, გერმანიის საკანონმდებლო ღონისძიებები, რომლებიც კრძალავდა იჯარის ან /და ქირავნობის ხელშეკრულების გადაუხდელობის მოტივით შეწყვეტას. სამწუხაროდ, საქართველოში მსგავსი ღონისძიება არ გატარებულა, შესაბამისად ამ კუთხით ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც მხარეების ისე დავის შემთხვევაში მოსამართლის როლს. ყველაზე სწორი გადაწყვეტა იქნება საიჯარო ქირის შემოსავლების პროპორციულად შემცირება, როგორც ეს ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკამ დაამკვიდრა. თუ საქმე ეხება მეწარმე სუბიექტს, შემოსავლების დათვლა უნდა მოხდეს არა მხოლოდ ერთი ობიექტიდან, არამედ მისი მთლიანი ბრუნვიდან. ასევე, სწორი იქნება თუ ამ შემოსავლებში გათვალისწინებული იქნება მის მიერ მიღებული სახელმწიფო სუბსიდიები, სადაზღვევო ანაზღაურება და სხვა. იმ შემთხვევაში თუ სასამართლო არ დათანხმდება ხელშეკრულების მისადაგებას და შეწყვეტს მხარეებს შორის არსებულ ურთიერთობას მაშინ, მართებული იქნება თუ მოსამართლე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიყენებს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ შესაძლებლობას და 6 თვით გადაავადებს ან ერთ წელზე განაწილავდებს ვალდებულების შესრულებას, რათა დიდი ოდენობის თანხის ერთბაშად დაკისრებით კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგეს მეწარმე სუბიექტის საქმიანობის გაგრძელების საკითხი.

სესხთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად ფულადი ვალდებულების განსკუთრებული თვისებისა, პანდემიის ფონზე მოვალეს მაინც უნდა ჰქონდეს ხელშეკრულების მისადაგების შესაძლებლობა, ხოლო კომერციული ბანკმა უნდა მისცეს მას ამის შესაძლებლობა, თუმცა ეს არ უნდა მოხდეს ისე, რომ შემცირდეს საპროცესენტო სარგებელი, არამედ ყველა სწორი იქნება თუ იგი დარჩენილ თვეებზე განაწილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, რომ ბანკს დაეკარგოს ხელშეკრულების მიმართ ინტერესი და მეტიც, საფრთხე შექმნას მის ლიკვიდურობას. ამ კუთხით მნიშვნელოვანია გერმანიის საკანონმდებლო ღონისძიებები, რომლის თანახმად მიუხედავად განსაზღვრული

ვადით გადავადებისა, მომხმარებელს დაბალ ფინანსურ შემოსავლებზე მითითებით მაინც შეეძლოთ გადავადების პერიოდის გახანგრძლივება.

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანია ტურისტულ და სხვა სამომხმარებლო ხელშეკრულებებთან მიმართებითაც. აღნიშნული საკითხი ნაცვლად ფულის უკან დაბრუნებისა, რამდენიმე ქვეყანაში კონკრეტული დროით ვაუჩერის გაცემით დარეგულირდა. მისი უპირატესობა ვლინდება იმაში რომ ერთბაშად არ ხდება გადახდილი თანხების უკან დაბრუნება. პირს ეძლევა ვაუჩერი, რომელსაც წინასწარ განსაზღვრულ ვადაში მისი სურვილისამებრ იყენებს. აღნიშნული წარმოადგენს პრობლემის ყველა სწორ და სამართლიან გადაწყვეტას.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ კოვიდ-19-ით გამოწვეული შესრულების შეუძლებლობის შედეგების პრევენცირება თავიდანვე მყარი ნორმატიული ბაზის შექმნით უნდა მოხდეს, ხოლო ამ უკანასკნელის არაარსებობის შემთხვევაში უმნიშვნელოვანეს როლს სასამართლო და სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები იძენენ.

ბიბლიოგრაფია:

ქართულენოვანი ლიტერატურა:

- *ბათლიძე გ.*, ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019;

- *ვაშაკიძე გ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 398 ;
- *ვაშაკიძე გ.*, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-1;
- *ზოიძე ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, კერძო სამართლის ინსტიტუტი, „საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი“, თბილისი, 2005;
- *ზოიძე თ.*, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტი თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2019;
- *თოდუა.მ/ვილემსი ჰ.*, ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2006;
- *ი. კროჰოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2014;
- *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009;
- *კვანტალიანი ნ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 132, წიგნი I, თბილისი, 2017;
- *მესხიშვილი ქ.*, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბილისი, 2020;
- *მესხიშვილი ქ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 367;
- *რობაქიძე ი.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 367;
- *რუსიაშვილი გ./დარჯანია თ./მაისურაძე დ.*, ზოგადი ვალდებულებითი სამართალი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2020;

- *სირდაძე ლ.*, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილების ანალიზი, №28/445010, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 1/2019;
- *ტაბატაძე დ.*, ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისდამი, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, II გამოცემა, 2013;
- *ქავშაია ნ.*, ფულადი ვალდებულებისგან გათავისუფლება ან ხელშეკრულების მისადაგება პანდემიისას, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 3/2020;
- *ჩანტლაძე რ.*, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი N4 (60) '18, თბილისი, 2018;
- *ჩიტაშვილი ნ.*, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება როგორც ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, სამართლის ჟურნალი N1, 2014;
- *ცერცვაძე გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, მუხლი 666, ხელმისაწვდომია: Gccc.ge;
- *ძლიერიშვილი ზ./ცერცვაძე გ./რობაქიძე ი./სვანაძე გ./ცერცვაძე ლ./ჯანაშია ლ.*, სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014;
- *ჭანტურია ლ./ზოიძე ბ./ნინიძე თ./შენგელია რ./ცეხურიანი ჯ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა სამართალი, თბილისი, 2001;
- *ჯორბენაძე ს.*, ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები კერძო სამართალში, თბილისი, 2016;
- *ჯულელი თ.*, არასახელშეკრულებო ვალდებულებები, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი #6/2017, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2017;

- *ჰაგენლოხი უ.*, კოვიდ-19-თან დაკავშირებული სამოქალაქო-სამართლებრივი საკითხები: ქართული სამართლებრივი ვითარების შეფასება გერმანული პერსპექტივიდან, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 3/2021;
- Covid-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში საქართველოს მთავრობა;

უცხოენოვანი ლიტერატურა:

- *Andrew A. Schwartz.*, Contracts and COVID-19, Stanfrd Law Review Online, Volume 73, July 2020;
- *Appleby v Myers (1867) LR 2 CP 65 1;*
ხელმისაწვდომია:<https://www.lawteacher.net/cases/appleby-v-myers.php>
საბოლოო ვიზიტი: [21.05.2021];
- *Christian Leathley., Amal Bouchenaki., Ben Rubinstein* COVID-19: pressure points: contractual implications and considerations under new york law Legal Briefings –02 April 2020 | United States;
- *Christian Leathley., Amal Bouchenaki., Ben Rubinstein:* COVID-19: pressure points: contractual implications and considerations under new york law (united states, Legal Briefings –02 April 2020 | United States;
- Coronavirus (COVID-19)—implications for tconsumer credit, overdrafts and mortgages,
ხელმისაწვდომია:<https://www.lexisnexis.co.uk/legal/guidance/coronavirus-covid-19-implications-for-consumer-credit-overdrafts-mortgages>, საბოლოო ვიზიტი:[01.07.2021];
- Covid 19 resources for nonprofits, contracts issues during Covid-19
ხელმისაწვდომია:<https://www.nylnpi.org/wp-content/uploads/2020/06/Contracts-Issues-During-COVID-19.pdf> საბოლოო ვიზიტი: [16.05.2021];
- COVID-19 – Impacts and possible remedies for government contractors: News our clients can use, ხელმისაწვდომია:
<https://www.reedsmith.com/en/perspectives/2020/03/covid19-impacts-and->

[possible-remedies-for-government-contractors](#)) საბოლოო
ვიზიტი:[12.06.2021];

- COVID-19 Georgia Legal Guidebook Key issues to consider, pwc, 2020;
- COVID-19- Consumer Law Research Group, Consumer Law and Policy Relating to Change of Circumstances Due to the COVID-19 Pandemic, Journal of Consumer Policy (2020);
- *Desmond D., Connall, Jr., Eben C. Hansel., Dina Bleckman., Nathan C. Farris* Force Majeure and COVID-19, Prepared by Ballard Spahr LLP, Updated March 23, 2020;
- *Dionysios P. Flambouras.*, The Doctrines of Impossibility of Performance and Clausula Rebus SIC Stantibus in the 1980 Convention on Contracts for the International Sale of Goods and the Principles of European Contract LawA Comparative Analysis, Pace international Law Review, volume 13, issue2 fall 2001;
- *Egidijus Baranauskas., Paulius Zapolskis.*, The effect of change in circumstances on the performance of contract, Mykolas Romeris University, Faculty of Law, Department of Business Law Ateities 20, LT-08303 Vilnius, Lithuania, 2009;
- European Contract Law Materials for Common Frame of Reference: Terminology, Guiding Principles, Model Rules Produced by Association Henri Capitant des Amis de la Culture Juridique Française and Société de Législation Comparée;
- European Financial Markets Lawyers Group, Force Majeure Clauses And Financial Markets In An Eu Context, November 2003;
- *Ewan McKendrick.*, Contract Law, Twelfth edition, Palgrave Law Masters,
- Federal Eviction Moratoriums in Response to the COVID-19 Pandemic, the COVID-19 Pandemic, Congressional Research Service, Updated March 30, 2021;
- Impossibility or Impracticability of Contractual Performance Caused by COVID-19 Under Delaware Law, ხელმისაწვდომია:
[https://www.jdsupra.com/legalnews/impossibility-or-impracticability-of-38914/;](https://www.jdsupra.com/legalnews/impossibility-or-impracticability-of-38914/)
- In N. Horn (Hrsg.), Adaptation and Renegotiation of Contracts in International Trade and Finance, Studies in Transnational Economic (Law vol. 3), 1985, S. 15–

29, Changes in Circumstances and the Revision of Contracts in Some European Laws and in International Law;

- International Chamber of Commerce, ICC force majeure and hardship clauses, (long form) MARCH 2020, ხელმისაწვდომია: <https://iccwbo.org/content/uploads/sites/3/2020/03/icc-forcemajeure-hardship-clauses-march2020.pdf> საბოლოო ვიზიტი [30.06.2021];
- International Institute for the Unification of Private Law Unidroit Principles Of International Commercial Contracts, Published by the International Institute for the Unification of Private Law Rome, 2016;
- *Jeffery K. Taubenberger., David M. Morens* 1918 Influenza: the Mother of All Pandemics;
- *Jennifer Camero.,* Mission Impracticable: The Impossibility of Commercial Impracticability, 13 U.N.H. L. REV. volume 13, article 2, 1 (2015);
- *John D Wladis.,* Common Law and Uncommon Events: he Development of the Doctrine of Impossibility of Performance in English Contract Law;
- *King Fung Tsang.,* From Coronation to Coronavirus: Covid-19, Force Majeure and Private International Law, 44 Fordham Int'l L.J. 187 (2020);
- *Klaus Peter Berger., Daniel Behn.,* Force Majeure and Hardship in the Age of Corona: A Historical and Comparative Study, Volume 6 (2019-2020), McGill Journal of Dispute Resolution, Volume 6 (2019-2020), Number 4 Article,;
- *Laura Maria Franciosi, L. M.* (2020). The Effects of COVID-19 on International Contracts: A Comparative Overview. Victoria University of Wellington Law Review, 51(3);
- *Leilani Farha.,* COVID-19 Guidance Note: Prohibition of evictions, Special Rapporteur on the right to adequate housing, United Nations Human rights Special Procedures, 2020;
- *Martijn W. Hesselink.,* The Concept of Good Faith published in *Martijn W. Hesselink.,* The Concept of Good Faith published in Towards a European civil code. - 4th rev. and exp. ed. 2004;
- *Matt Peters., Janet Kwuon.,* Force Majeure One year later May 2021, 02 Reed Smith LLP

- *Matthew Nied, Andrew Hind*, How Frustrating: The doctrine of frustration in the age of COVID-19, *The Advocate*, Vol.78, Part Semptember 2020;
- *Mayer Brown*, COVID-19 impact on commercial leases, May 2020;
- *ndubuisi augustine nwafor*, Comparative and Critical Analysis of the Doctrine of Exemption/Frustration/Force Majeure under the United Nations Convention on the Contract for International Sale of Goods, *English Law and UNIDROIT Principles Scotland* MARCH 2015;
- *Ole Lando.*, *Some Features of the Law of Contract in the Third Millennium*, Stockholm Institute for Scandianvian Law, 1957-2009;
- *Perrie Weiner., Aaron Goodman., Kelton Basirico., Baker McKenzie*, Commercial Lease Defenses During Covid-19, Bureau of National Affairs, Inc, 2020;
- *Peter J. Mazzacano.*, Force Majeure, Impossibility, Frustration & the Like: Excuses for Non-Performance; the Historical Origins and Development of an Autonomous Commercial Norm in the CISG, *Nordic Journal of Commercial Law* issue 2011#2;
- *Richard Baldwin Beatrice., Weder di Mauro*, Economics in the Time of COVID-19 a Cepr Press VoxEU.org eBook;
- *Talya Uçaryılmaz.*, *The Principle Of Good Faith In Public International Law*, Oxford Institute of European and Comparative Law, Bilkent University Faculty of Law, 2019;
- *Valentin Jentsch.*, Government responses on Corona and contracts in Europe: A Compilation Of Extraordinary Measures In Times Of Crisis, eui Working Paper LAW 2020/11, 2020;
- Weller et al, supra note 4 at 1021; Wagner et al, supra note 71

ქართულენოვანი სამართლებრივი აქტები:

- ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობის ადმინისტრირებისა და მის მიერ პირთა მომსახურების კანონმდებლობით დადგენილისგან განსხვავებული

დროებითი წესების განსაზღვრის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 15 ივლისი ბრძანება №582;

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;

უცხოენოვანი სამართლებრივი აქტები:

- Bürgerliches Gesetzbuch (BGB);
- Einführungsgesetz zum Bürgerlichen Gesetzbuche;
- New York Uniform Commercial Code (“UCC”);
- The United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (Vienna, 1980);
- UNIDROIT PRINCIPLES OF INTERNATIONAL COMMERCIAL CONTRACTS, 2016;
- The Principles of European Contract Law (PECL);
- DIRECTIVE 2014/17/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 4 February 2014;
- National Cabinet Mandatory Code of Conduct - SME Commercial Leasing Principles During COVID-19, LEASING PRINCIPLES;
- Gesetz zur Abmilderung der Folgen der COVID-19-Pandemie im Zivil-, Insolvenz- und Strafverfahrensrecht (27 Mar. 2020);
- Code civil des Français;
- ELI Principles for the COVID-19 Crisis, The European Law Institute, 2020;
- COVID-19-Gesetz (4 Apr. 2020), BGBl I, no. 24 – § 1 of 2. COVID-19-Justiz-Begleitgesetz
- Commission Recommendation (EU) 2020/648 of 13 May 2020 on vouchers offered to passengers and travellers as an alternative to reimbursement for cancelled package travel and transport services in the context of the COVID-19 pandemic C/2020/3125;

ქართულენოვანი სასამართლო გადაწყვეტილებები:

- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის განჩინება საქმეზე №28/102-13;
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №28/2867-13;
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 05 სექტემბრის განჩინება საქმეზე №28/3081-16;
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 20 თებერვალის განჩინება საქმეზე №28/3965-15;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე საქმე №2/14839-20;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 5 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-418-391-2010;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-7-6-2010;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება №ას-1153-1173-2011;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-1338-1376-2014;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 10 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1265-1187-2015;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 24 ოქტომბრის განჩინებაზე საქმეზე №ას-1096-1053-2016;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 15 ივლისის განჩინება, საქმეზე №ას-1008 -2019;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 24 დეკემბრის განჩინება საქმე №ას-1225 -2020;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-91-2021;

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-344-2019;

უცხოენოვანი სასამართლო გადაწყვეტილებები:

- Court of Appeals of the State of New York, Kel Kim, 70 N.Y.2d at 902. Dec 21, 1987;
- Court of Massachusetts, at Suffolk, Business Litigation Session Umnv 205-207 Newbury, LLC v. Caffé Nero Americas, Inc. February 8, 2021, Decided, Opinion No.:145768.
- Court of Queen's Bench, Taylor and Another v. Caldwell and Another, [1863] EWHC QB J1 122 ER 309;3 B. & S. 826;
- District Court, E.D. Louisiana, Richards Clearview, LLC v. Bed Bath & Beyond, Inc CIVIL ACTION NO. 20-1709 SECTION "L";
- England and Wales High court, Tandrin Aviation Holdings Ltd v Aero Toy Store LLC, Jul 6, 2010;
- Fibrosa SA v Fairbairn Lawson Combe Barbour Ltd [1943] AC 32 Fibrosa SA v Fairbairn Lawson Combe Barbour Ltd [1943] AC 32;
- NSW Supreme Court , Sneakerboy Retail Pty Ltd trading as Sneakerboy v Georges Properties Pty Ltd (No 2)26 august, 2020;
- Staffordshire AHA v South Staffordshire Waterworks Co [1978] 1 W.L.R. 1387 (02 May 1978)
- Supreme Court Of California, Mineral Park Land Co. v. Howard - 172 Cal. 289, 156 P. 458 1916;
- Supreme Court of New York, 1140 Broadway LLC v Bold Food, LLC, 2020 NY Slip Op 34017(U),December 3, 2020;
- Supreme Court of New York, Warner v. Kaplan, 71 A.D.3d 1, 6, 892 N.Y.S.2d 311, 315 (2009)
- The supreme court of Honk Kong, Hirji Mulji v Cheong Yue Steamship Co Ltd [1926] AC 497; 95 LJPC 121; 1921;

- United States Bankruptcy Court, D. Delaware Re Atlantic Gulf Communities Corp., 369 B.R. 156 Bankr. D. Del. 2007, May 22;
- United States Bankruptcy Court, N.D. Illinois, Eastern Division, Hitz Rest. Grp., 616 B.R. 374 Bankr. N.D. Ill. 2020;
- United States Court of Appeals, Eleventh Circuit, S & B / BIBB Hines PB3 Joint Venture v. Progress Energy Florida, Inc., 365 F. App'x 202 (11th Cir. 2010);
- United States District Court for the Southern District of Florida, Malaube, LLC v. Greenwich Ins. Co. August 26, 2020, Decided; August 26, 2020;
- United States District Court Southern District of Florida Palm Springs Mile Associates, Ltd. v. Kirkland's Stores, Inc., 20-21724, 2020 WL 54111353 (S.D.Fla., Sept. 9, 2020);
- United States District Court, Bank of America, N.A. v. Shelbourne Development Group, Inc., 732 F.Supp.2d 809, , N.D. Illinois. Aug 18, 2010;
- US District Court for the Southern District of Florida, ARHC NVWELFL01, LLC v. Chatsworth At Wellington Green, LLC, 9:2018cv80712, June 1, 2018;